პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 პარასკევი 8 ივლისი № 158 (16898) ფასი 2 კაპ. 1977

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

სულ უფრო მაღლა მიიწევს ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი, მებეტონეთა ბრიგადები, რომლებიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან, ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ მოიპოვონ კაშხალის სხეულში მემილიონნახევარი კუბური მეტრი ბეტონის ჩახვნის საპატიო უფლება.

მებეტონეებს შეჯიბრებაში არც გვირაბგამყვანები ჩამორჩებიან, რომლებიც მიწახქვეშა სადაწნეო კვანძს და გვირაბებს აგებენ.

ხურათებზე: გვირაბგამყვანთა მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. აბესაძე; თაღოვანი კაშხალის მშენებლობის ხედი.

ი. პოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკოლა, აღზრდა — ყველას საზრუნავი!

ახალი კონსტიტუციის პროექტმა ახალი ძალა და ელფერი, ხალისი და ნაყოფიერება შემატა კომუნიზმის მშენებელი თითოეული ადამიანის შრომას. სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე აღნიშნა: „საბჭოთა თითოეულმა საბჭოთა ადამიანმა ნათლად შეიგნოს, რომ საბოლოო ანგარიშით მისი უფლებების მთავარი გარანტია სამშობლოს ძლიერება და აყვავებაა. ამისათვის კი თითოეული მოქალაქე პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს საზოგადოების წინაშე, კეთილსინდისიერად იხდიდეს თავის ვალს სახელმწიფოს წინაშე, ხალხის წინაშე“.

სამშობლოს ძლიერებისა და აყვავებისათვის შრომა საპატიოა, ღირსებისა და სახელის საქმეა, რა უბანზეც უნდა ეწიოდეს ადამიანი მას. X ხუთწლედის — ხარისხის ხუთწლედის მეორე წლის — ნაიუბილეო წლის შრომის ფერხულში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მშენებლებს, ხოლო მშენებელთა შრომაში მთელი ხალხის სიყვარული, სიმპათია და იმედია ჩაქსოვილი. საძირკვლის ჩაყრიდან, ვიდრე სახელმწიფო კომისია მოიწონებდეს და შენობას მიიღებდეს, — ხალხი შეუბარის მშენებელთა შრომას, საცხოვრებელი სახლისათვის ეწევიან ინინი ამას, კლუბისა თუ საავადმყოფოსათვის. მაგრამ ვერაფერი შეიდრება მშრომელთა დაინტერესებას სასკოლო მშენებლობით, ყველაფერით, რასი დანიშნულებაც ნორჩი თაობის, მოსწავლე ახალგაზრდობის სახსენელ-მატერიალური ბაზით უზრუნველყოფაა, სწავლა-აღზრდისათვის ჯეროვანი პირობების შექმნაა.

სასკოლო მშენებლობას, კერძოდ, და სკოლისათვის ზრუნვას. საერთოდ, ჩვენ მაღალი სახელმწიფოებრივი მასშტაბით უნდა ვუყურებდეთ და ვაფასებდეთ. თუ 1936 წლის კონსტიტუციაში ზოგადად იყო ლაპარაკი განათლების უფლებაზე, ახლა საქმე შეიხება სავალდებულო საყოველთაო საშუალო განათლებას, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი განათლების ფართო განვითარებას. ეს ჯეროვნად ასახულია საბჭოთა ახალი კონსტიტუციის პროექტში. მაშასადამე, სკოლის მშენებლობა როდი მარტო შენობის აგება. ოღონ ახალი კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებული მოქალაქეთა განათლების უფლების განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია.

ამან, რომ მშენებლობა ამის ორმა ზეგენით მუშაობენ, რესპუბლიკაში, როგორც საერთოდ მშენებლობის მთელ ფრონტზე, კერძოდ, სასკოლო მშენებლობის დამკერელურ უბანზეც თავისი დადებითი შეიტანა მოგვიანა. საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებამ, როგორც ცნობილია, ეკონომიკური ახალჭარი ხელი შეუწყო ყველაზე ხელსაყრელი პირობებს შექმნას, რათა კიდევ უფრო სრულყოფთ მუშაობა კომუნისტმა მაგრილალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, რესპუბლიკის ეკონომიკის განტკიცებისა და განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. ივნისის დადგენილების მიღების შემდეგ განვლილი წელი აღსავსე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი და მრავალმხრივი შუშაობით ამ დადგენილების შესრულებისათვის, რესპუბლიკის ცხოვრების ყველა მხარისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი ჩაულყოფისათვის. ყოველივე ამან შექმნა აგრეთვე, ამის წანამძღვარი, რომ დაჩქარებულიყო სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ტემპი. მაგალითად, სასკოლო მშენებლობაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამა შესრულდა 124 პროცენტით, ანუ 3,2 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. სახავშვო ხელამდელი დაწესებულებების დარგში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 1,5-ჯერ გაიზარდა, პროფტექნიკური განათლების ობიექტების მშენებლობის დარგში — ორჯერ. ივნისში მშენებლობის ტემპი გაძლიერდა ძირითადად ახალშუშავებელ ობიექტებზე. მომდინარე წლის ექვსი თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. მაგალითად, ნაცვლად 3.934 მოსწავლის ადგილისა აშენდა სკოლები 4.060 მოსწავლის ადგილით. მაგრამ ამ უბანზე მშენებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ წლეულს მარტო რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ხაზით საექსპლოატაციოდ უნდა ჩაბარდეს 63 სასკოლო შენობა 25.930 მოსწავლის ადგილით. აქედან 1 ნოემბერს 62 სკოლაში უნდა დაირეკოს ზარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს სკოლები აგვისტოშივე მზად უნდა იყოს. 4.950 ბავშვი ელოდება ბაგა-ბაღის ახალ შენობას. ექვს თვეში აშენებულია ბაგა-ბაღები 1.335 ბავშვისათვის. დამშვიდების საბაბი არც ამ უბანზე აქვთ მშენებლებს, შეფ ორგანიზაციებს.

როცა რიტმულად მუშაობენ და ხაქმიანობიდან მეედეხვალიობა გამორიცხულია, როცა სასკოლო მშენებლობაზე დაწესებულია ადგილობრივი ორგანიზაციების ქმედითი პარტიული კონტროლი, გრაფიკიც არ ირღვევა. ასე აშენდა ხაგარეჯოს რაიონის თოხა აურის, ამავე რაიონის უჯარმის სკოლები, ყვარლის მეორე საშუალო სკოლა, რომლებსაც აშენებდნენ საქართველოს სსრ სახოფლო მშენებლობის სამინისტროს № 11 და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტები. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულმა სამინისტროებმა, შარშანდელ შუხამის პერიოდთან შედარებით, რამდენადმე გააუმჯობესეს მუშაობა, მშენებლობის სამინისტროს II, IV, VII ტრესტების, სასოფლო მშენებლობის ორი ტრესტების საშენებლო უბნებს შორის გაძლიერდა წინასაოკტომბერო სოციალისტური შეჯიბრება, საერთო რიტმის შესაბამისად მუშაობს ტრანსპორტი და მომარაგება. დამკვიდრდა მუშათა კადრები, არ შეიმჩნევა მუშახელის დენადობა. ამ საერთო წარმატების ფონზე ცუდად გამოიყურება მდგომარეობა აფხაზეთის სსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამაშის ხაშუალო სკოლის და აჭარის სსრ შუახევის რაიონის ნაგაზეულის საშუალო სკოლის მშენებლობაზე. აქ ექვსი თვის ეგეგმა ხანახეერდა, არ არის შესრულებული. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს VI ტრესტს და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის ხელვაჩაურის № 45 მოძრავ მექანიკურ კოლონას მართებთ მკვეთრად გამოასწორონ ნაკლოვანება და გრაფიკში ჩადგნენ, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს VII ტრესტმა ვერ უზრუნველყო გალის რაიონის სოფელ ოტობაიას საშუალო სკოლის მშენებლობის ჯეროვანი ტემპი.

დიდია მიშენებითი სამუშაოს მნიშვნელობა. ადრე აგებული ძირითადი სახკოლო შენობა ბევრგან ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ეგი სრულყოფილი გახდება პროექტით გათვალისწინებული მიშენების შემდეგ. ცხაკაიას რაიონის ერთ-ერთი უდიდესი სოფლის თეკლათის საშუალო სკოლის მიშენება ჯერჯერობით პროექტზე რჩება, მიშენება კი აუცილებელია. აქვე არა აქვთ ხპორტული დარბაზი და ეს მით უფრო დასანანია, რომ მოსწავლეები ჩინებულ წარმატებებს აღწევენ ზონალურ შეჯიბრებებში. არის ტენდენცია ზოგან მოსწავლეა ახალგაზრდობის ფიზიკულტურულ-ხპორტული აღზრდის უგულებელყოფისა.

პარტიის XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად რომ აამაღლოს თავისი მუშაობის დონე, ჩვენს სკოლას ყველა პირობა უნდა შეეუქმნათ ნორმალური მუშაობისათვის. მახსოვდეთო IV ყრილობაზე გულისტკივილით აღინიშნა, რომ დღეს საქართველოში ბევრი სკოლა ვვაქვს ყოველად უვარგის, აკარიოდ და ნაჭირავებ შენობებში. ამის გათვალისწინებით, ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან თქვეს:

— ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, საწარმოებმა უნდა შეიცვალონ დამოკიდებულება სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიმართ... სახკოლო მშენებლობა, სკოლისათვის ზრუნვა მეათე და მეთ ორმეტე ხუთწლეულებში მუშაობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად უნდა გამოვაცხადოთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველდღიურად ზრუნავს ჩვენი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის ინტერესებისათვის, ჩვენი სკოლისათვის. მიუხედავად ათასი უდიდესი საზრუნავისა, რაც ახლა, ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის იუბილეებისათვის მზაობის პერიოდში ბრძოლის პარტიული ორგანიზაციის აწევის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კოლტორის ფრონტებზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ერთი წუთითაც არ ანელებს სკოლების, სახალხო განათლების. მოსწავლეთა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საჭიროებისადმი ყურადღებას.

სკოლისათვის ეხლოდან ჭეშმარიტად დიდი ზრუნვას ღირსეულად უნდა ეუპასუხოთ. ეს ღირსეული პასუხი ახალი სახეწაოთო წლისათვის ჯეროვანი მზადებითაც უნდა გამოიხატოს. ეს ფიზიკა ითვალისწინებდეს ობიექტების მშენებლობის ვადების დარღვევას. ზოგიერთი რაიონული და ხაქალაქო საბჭოს აღმასკომები უსაფუძვლოდ აპაიანურებენ მშენებლობის საქმეს — ვერ შენდება 2.200 მოსწავლისათვის გათვალისწინებული ობიექტები პროფტექგანათლებისა. შეხანამისმა ხანინისტროებმა და უწყებებმა, რაიონულმა, საქალაქო და საოლქო საბჭოებმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ გარდატეხა ყველა იმ ხამუშაოში, რაც საჭიროა ახალი ხასწავლო წლისათვის პროფტექნიკური განათლების ობიექტების მოსამზადებლად.

სკოლა, აღზრდა ყველას ხაზრუნავია. იმის მტკიცე პირობა მივცეთ პარტიას და მთავრობას, და მჯიღეთ-ვიც შეიარსოოოوو

ეფექტიანად, ხარისხიანად!

დამკვრელურად ვიშრომოთ წლის მეორე ნახევარშიც!

გავაძლიეროთ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი, გავაუმჯობესოთ მზა პროდუქციის ხარისხი!

ჩვენი ვალი და პასუხისმგებლობა

აჭარის მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა კრებების მონაწილეების მიმართვა

საქართველოს ყველა მეჩაიისა და ჩაის მრეწველობის მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

შესანიშნავი მოვლენებით არის აღსავსე ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის ცხოვრება. მთელ საბჭოთა ხალხზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს სკკ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმმა და ამ პლენუმზე სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ.

ჩვენ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, დიდი კმაყოფილებითა და მხურვალე მოწონებით აღვიქვით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესიის შედეგები.

აჭარის მეზვინე პლანტაციათა მშრომელები ღირსეულად იკრძალებენ რესპუბლიკის სახელოვან მეჩაიეთა ტრადიციებს. ეტარნომიური რესპუბლიკის მეჩაიეებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლში, შრომითი წარმატებანი მოიპოვეს. მაის-ივნისში სახელმწიფოს მიჰყიდეს 27.611 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ანგარიშით 26.517 ტონის ნაცვლად. ჩაის ფოთლის კრეფის პირველი ორი თვის მაჩვენებელი 104,1 პროცენტს შეადგენდა. წლიური გეგმის შესრულებამ 53 პროცენტს მიაღწია. მთელი მოკრეფილი ნედლეულიდან 78,7 პროცენტი პირველი ხარისხისა.

7 ივლისისათვის დამზადებულია 28.579 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 3.492 ტონით მეტია, ანუ წლიური გეგმის 54,9 პროცენტს შეადგენს.

ჩაის პლანტაციებს გულდასმით და მზრუნველად ეფერვლიენ. ახლა ისინი კარგ მდგომარეობაშია და უხვი მოსავალს გვაძლევენ. მაგრამ ჩვენ წესად გავიხადეთ არ დაჯერდეთ მიღწეულს, კიდევ უფრო მეტი გავაკეთოთ. ამიტომ ვცდილობთ შევინარჩუნოთ ჩაის ფოთლის კრეფის სწორი ტემპი განსაკუთრებით მოსავლის აღების ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში — ივლისში, რათა გადავაჭარბოთ გასული წლის ამავე თვის მაჩვენებლებს.

ჩაი ჩვენი სამშობლოს, ჩვენი სიამაყეა. ქართული ჩაის პრესტიჟისათვის ბრძოლა თითოეულის საქმეა. და თითოეულმა ჩვენგანმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

ბესლიბაში, ფოთლის კრეფის გადიდებაში, ამიტომ, რომ დღეს განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა ჩვენს ჩაზე.

ჩვენ, ავტონომიური რესპუბლიკის მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა კრების მონაწილენი, ვიხილავთ რა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს, მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში დიდი ოქტომბრის სახელოვანი იუბილეს წელს ვალდებულებას ვკისრულობთ წინათ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების დამატებით მოვკრიფოთ და სახელმწიფოს მივაყიდოთ 3 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ხუთწლედის მეორე წელს ქვეყანას მივაცემთ 54.220 ტონა ჩაის ფოთოლს დავალებით და ვალდებულებით გათვალისწინებული 51.220 ტონის ნაცვლად. დასახული მიზნების წარმატებით შესრულებაში თავიანთ წვლილს შეიტანს ყველა მეურნეობა, რომლებსაც ჩაი მოჰყავთ.

ქობულეთის რაიონის მიწათმოქმედებმა ადადწყვიტეს დამზადონ 36.880 ტონა ჩაის ფოთოლი, ხელვაჩაურელმა მშრომელებმა — 16.480 ტონა, ქედის მეჩაიეებმა — 860 ტონა. ჩაის ფოთლის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 7.251 კილოგრამს მიაღწევს, წარსულზე 384 კილოგრამით მეტს, ქობულეთის რაიონის მეურნეობებში — 7.619, ხელვაჩაურისა — 6.849 კილოგრამს, რაც შესაბამისად გასული წლის მაჩვენებლებზე 339.483 კილოგრამით მეტია.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მეჩაიეს და ჩაის მრეწველობის მუშაკს გააძლიერონ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი, გააუმჯობესონ ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხი, უდანაკარგოდ მოკრიფონ და გადამუშავონ მოსავალი.

მეჩაიეობაში, დასაქმებული თითოეული მუშაკის ვალია კიდევ უფრო მაღლა ასწიოს სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის გაბედული სოციალისტური შეჯიბრების დროშა, ღირსეული წვლილი შეიტანოს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის შემდგომი აყვავების, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

მიმართვა მიღებულია აჭარის ასსრ მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა კრებაზე 1977 წლის 7 ივლისს. (საქინფორმი).

დროულად, უდანაკარგოდ ავიღოთ აურეული

თავთავიანი მარცვლეულის მოსავლის აღება რესპუბლიკაში (საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 7 ივლისის ოპერატიული ცნობებით)

რაიონები	გეგმა ჰექტარობით	მოცილება ჰექტარობით	გადაწყვეტილია საბოლოოდ ჰექტარზე ცალკე ცალკეულ
წითელწყაროს	26401	17212	24,5
სიღნაღი	19314	14537	19,1
საგარეჯო	14644	7603	14,9
გარდაბანი	11188	3878	20,7
თეთრი წყაროს	10112	1934	16,7
ლაგოდეხი	8960	6442	17,1
მარნეული	7402	2039	23,7
გორი	7302	164	19,3
ქარელი	6524	150	18,0
ბოლნისი	6504	1865	18,3
ყვარელი	6019	3028	15
კასპი	5983	214	23,2
ახმეტა	5509	3306	20,9
თელავი	4507	1385	19,4
ხაშური	4220	164	23,2
გურჯაანი	3868	2043	21,0
წყალტუბო	3630	940	8,8
მცხეთა	3140	450	20,0
სამტრედია	1268	452	16
თერჯოლა	1112	173	16
წულუკიძე	1011	448	19,1
ჭიათურა	780	12	20,0
ზესტაფონი	525	88	20,0
ვანი	315	15	14,7
სულ რესპუბლიკაში	209549	68547	19,8



7 ივლისი

„პრავდის“ ფურცლებზე

როცა სოციალისტურ შეჯიბრებას ეჩაღებენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ნათქვამია „ზეზეთის მოწინავეში („პირდაპირი ქავშირი“) პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ყველა მშრომელისათვის და მეტადრე ხელმძღვანელებისათვის საქმისადმი საეხელმწიფოებრივი მიდგომის და განსაკუთრებით სახელმძღვანელო ვალდებულებათა, კოთვერიბებულ მიწოდებათა გეგმების შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის ნინერგვას.

ივლისი ზაფხულის მწვერვალია არა მარტო კალენდარით, არამედ იმ სამშაოების გაკანონებითაც, რომლებიც ახლა ყანებში ჩადდება, წერტ გაზეთი („ვუსწორდეთ მკის ოსტატებს“), ყოველდღე ფართოვდება მკის ხაზლვრები. ამუამად მკა მიმდინარეობს 11 მოკავშირე რესპუბლიკაში.

მსოლოდ პირველი ხარისხის...

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარის გორკის სახელობის კოლმეურნეობის მწვანე პლანტაციებში გაჩაღებულია ჩაის ფოთლის კრეფა.

პირველი დღეებიდანვე ჩაის ფოთოლს სწრაფად კრეფენ № 2 ბრიგადის მოწინავე მეჩაიე კომკავშირელი დოდო ტეტემაძე. მისი პირადი ვალდებულებაა 5 ტონა ჩაის ფოთოლი. ქალიშვილი მხოლოდ პირველი ხარისხის ნედლეულს აბარებს.

ხუთათზე: მოწინავე მეჩაიე კომკავშირელი დოდო ტეტემაძე.

ნ. ანასტასიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოსკოვის X საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს

გულითადად მივესალმები მსოფლიო კინოხელოვნების დათვალიერების მონაწილეებსა და სტუმრებს, რომლებიც მოსკოვის X საერთაშორისო ფესტივალზე შეიკრიბნენ.

კინემატოგრაფისტთა ეს ტრადიციული შეხვედრა საბჭოთა დედაქალაქში ეწყობა საიუბილეო წელს, როცა ჩვენი ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის მე-60 წლისთავს ზეიმობს.

ჩვენს ქვეყანაში უყვართ და აფასებენ კინოხელოვნებას. კინემატოგრაფი, რომელიც სიმართლით და მკაფიოდ ამჟღავნებს მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებათა არსს, თანამიმდევრულად ერთგულია ჰუმანიზმის იდეებისა, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის მძლავრი ფაქტორია. ჭეშმარიტად ფასდაუდებელია წვლილი, რომელიც კინოხელოვნებას, ადამიანის გონებასა და გულზე თავისი უდიდესი გავლენის გამო, შეუტანია შეტანოს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საქმეში, თანამედროვე ანტაგონიზმის წინაშე მდგომი აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის მათი მეცადინეობის გაერთიანებაში.

თქმა არ უნდა, რომ ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება მარტო პოლიტიკური პარტიებისა და მთავრობების საქმე არ არის. კეთილი ნების, ხალხთა ურთიერთპატივისცემისა და ნდობის სულისკვეთების დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ საზოგადოებრივობას, კულტურის მოღვაწეებს, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მასობრივი ხელოვნების — კინემატოგრაფის წარმომადგენლებს. ჩვენ გვწამს, რომ სხვადასხვა ქვეყნის კინოს ოსტატები, თავიანთი პოლიტიკური მრწამსისა და შემოქმედებითი პოზიციების განსხვავების მიუხედავად, ადამიანთა ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე ხელოვანის მაღალი პასუხისმგებლობის ღირსი იქნებიან, თავიანთ შრომასა და ნაკს მოახმარენ ისეთი ნაწარმოებების შექმნას, რომლებიც მშვიდობისა და პროგრესის საკეთილდღეოდ იმუშავებენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

დარწმუნებული ვარ აგრეთვე, რომ კინოხელოვნების მიერ თავისი ჰუმანური მისიის შესრულებას ხელს უწყობს პროგრესულ კინემატოგრაფისტთა ფართო და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარება. ნება მიბოძეთ, გამოვთქვა იმედი, რომ ასეთი თანამშრომლობის ასპარეზი, საერთაშორისო კულტურული ცხოვრების ღიდი მოვლენა გახდება მოსკოვის ახლანდელი X ფესტივალიც, რომელიც ღიაა ყველა კონტინენტის კინემატოგრაფისტებისათვის.

დიდ წარმატებას ვუსურვებ მის ყველა მონაწილეს და სტუმარს!

ლ. ბრეჟნევი.

მიფრინავს „კოსმოს-925“

1977 წლის 7 ივლისს საბჭოთა კავშირში ჯუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-925“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საყოველთაო-ცალო-გამოთვლითი ცენტრი ინფორმაციას მიღებულ ინფორმაციას. (სატასი).

მაღალი მომთხოვნელობის ნიშნით

აქტიური და მიზანმიმართული

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

● ოქტომბრის იუბილესათვის მზადება და კონსტიტუციის პროექტის განხილვა — თბილისელთა ახალი შემართების წყარო ● საწარმოო მარკის ღირსებისათვის ● მუშაობელთა სადღესასწაულო ამოცანები ● თითოეულის აქტივობა საერთო ქალაა ● კონსტიტუციით მონიჭებული უფლებები და მოვალეობის გრძნობა.

ოდიდი კმაყოფილებით, მხურვალე და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ თბილისის კომუნისტები, მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას, მის არჩევას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მზადებითა და სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვით გამოწვეული მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მორიგი მეშვიდე პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნის ვ. დ. გაბუნიას მოხსენება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა ჭრილში მშენებლობისა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების ძირითადი დებულებებისა და დასკვნების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებების ღრმა შეხწავლის ორგანიზაციას. აღინიშნა, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა მჭიდროდაა დაკავშირებული ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადებასთან, სოციალისტური ცხოვრების წესის დიდ უპირატესობათა პრაქტიკულთან, მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიული საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ და ჰუმანისტურ არსთან. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა უფრო აქტიური და მიზანმიმართული ხასიათი მიენიჭოს ქალაქის პარტიული ორგანიზაციების მთელ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობას კონსტიტუციის პროექტის ფართო და საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის, საქმიანად დაუკავირონ მზარი და გაავრცელონ შრომითი კოლექტივების მნიშვნელოვანი წამოწყებანი, სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ამ დღეებში განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა.

აღინიშნა, რომ თბილისელებმა მკაფიოდ გამოავლინეს თავიანთი მჭიდრო დაინტერესება პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიკურის გარშემო, რომელსაც სათავეში უდგას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აღიარებული ლიდერი, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის დაუღალავი მებრძოლი ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. ადგილობრივი საბჭოების განვლილ არჩევნებში მათ ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

პლენუმის მონაწილენი თავიანთ აზრს, გრძნობებსა და ქცევას უხამებდნენ შშობლიური პარტიის მაჯისცემას. **პლენუმს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმან, რომ იგი გახდა თავისებური ანგარიში იმისა, თუ როგორ ასრულებს საქართველოს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაცია რეспუბლიკისათვის ისტორიულ დადგენილებას საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. რომელიც ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ მიიღო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით.**

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის ნ. ვ. გურგენიძის ინფორმაცია პარტიის საქალაქო კომიტეტის მე-3 პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. სწორედ ამ პლენუმმა განიხილა საკითხი „თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილების განხორციელების საქმეში“.

პარტიის, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მზრუნველობასა და ყურადღების თბილისელებმა თავდადებული, დამკვირული შრომით უპასუხეს.

შრომითს კოლექტივებში ინადიდებოდა და ქმედითს მაარდაჭერას პოულობდა შეასნინავი წამოწყებები. ბრძოლას გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის ეწოდა საქალაქო ფედერაციის ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საქალაქო კომიტეტთან არსებული პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსურ პრობლემათა მუდმივმქმედი კომისია. მისი დახმარებით 218 საწარმოდან 184-მა დაამთავრა პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის ღონისძიებათა გეგმის შემუშავება, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ეს გამოხატავს პრინციპულად ახლებურ დამოკიდებულებას ხარისხის მართვისადმი.

VII პლენუმის მთელ მრავალპლანიან სამზადისში აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიული და სამეურნეო აქტივი. პლენუმამდე მისი მონაწილენი რამდენიმე ჯგუფად გაერთიანდნენ და ეწვივნენ ქალაქის იმ საწარმოებს, სადაც განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დასანერგად. პლენუმის დღის წესრიგში დასმული საკითხის შეჯამან გაჩხალეას ხელს უწყობდა პროდუქციის ხარისხის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც ლენის სახლში იყო ორგანიზებული; აქვე მიმდინარეობდა პლენუმის მუშაობაც.

პლენუმისათვის ხანგრძლივი და საქმიანი მზადების პერიოდში ყველა განხორციელებული ღონისძიების მიზანი იყო, რომ მის მონაწილეებს მიეღოთ მრავალმხრივი და ამომწურავი ინფორმაცია. ამან საშუალება მისცა მათ წამოეყენებინათ დღის წესრიგიდან გამომდინარე საინტერესო პრობლემები, კონკრეტული საკითხები, რომლებიც პლენუმისათვის მზადების დღეებში წარმოიშვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პარტიული პლენუმისათვის მზადების ამ ცხოვრებისეული, მიგნებული მოწინავე მეთოდის დადებითი ზემოქმედება თვით საწარმოთა მუშაობაზე, იმ დიდ პასუხისმგებლობაზე, რომლითაც ისინი შრომობდნენ და იღვწოდნენ პლენუმის შესახვედრად.

და, რაც მთავარია, პლენუმამდე კომუნისტებისა და უპარტიოთა წინადადებების, სურვილებისა და კრიტიკული შენიშვნების გულისხმიერად შესწავლამ, მათმა ღრმა ანალიზმა ნათლად გამოავლინა ჩვენი ცხოვრებისა და შრომის ყველა სფეროში არსებული მდგომარეობა და ის ამოცანები, რომლებიც ონდა გადაეჭრას დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ყველა ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო პლენუმზე მშენებლობისა და მრეწველობის პროდუქციის ხარისხის საკითხთა ღრმა და ყოვლმხრივ განხილვას.

ხარისხი — ჩვენი ძირეული პრობლემა

პლენუმზე აღინიშნა, რომ ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, მშრომელებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გაწიეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. ბევრი რამ გაკეთდა საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისათვის. ქალაქის მთელ რიგ საწარმოებში შეძენილი აქვთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობის ორგანიზაციის დადებითი გამოცდილება. ამას ისახავს მიზნად წარმოების ნოვატორთა თაოსნობები. შესამჩნევად გაიზარდა სამეცნიერო დაწესებულებებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების წვლილი წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში. 100-ზე მეტ საწარმოში, რომლებიც ქალაქის სამრეწველო პროდუქციის 85 პროცენტს უშვებენ, მუშავდება და ინერგება ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა.

ყოველივე ამან დადებითი გავლენა მოახდინა თბილისის ეკონომიკის განვითარებაზე, ხარისხის კომპეტენციაზე. რესპუბლიკის საწარმოებში ხარისხისნიშნიანი ნაწარმის მოცულობის თითქმის ნახევარი თბილისში გამოდის. ამ ნაწარმის წილი წარმოების საერთო მოცულობაში 7.6 პროცენტს შეადგენს. ხუთწლედის დამლეგესათვის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა სიერთო მოცულობაში 20 პროცენტს გადააჭარბებს.

მეათე ხუთწლედის პირველ წელს საგრძნობი დადებითი გარდატეხაა მიღწეული მშენებლობაშიც.

1976 წელს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ქალაქის სახალხო მეურნეობაში გასულ წელთან შედარებით 30 მილიონი მანეთით გაიზარდა. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე სტანდარტად სრულდება საცხოვრებელი სახლების საეკსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები. უკანასკნელ პერიოდში ქალაქმა მიიღო სახელგანოვანი კულტურული დანიშნულების მთელი რიგი შენობები, რომლებსაც დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვთ. საუკეთესო შეფასება დაიმსახურეს ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეკონსტრუქტირებულმა შენობამ, ვრიბოედოვის სახელობის თეატრმა, უნიკალურმა სპორტულმა ნაგებობამ — ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონმა, რომელიც 80 ათას მაყურებელს იტევს.

ამასთან საქალაქო კომიტეტის VII პლენუმზე აღინიშნა, რომ საიმედო და გამძლე პროდუქციის ზამოშვებისათვის ბრძოლა, რომელსაც მაღალი სამომხმარებლო თვისებები ექნება, ჯერ კიდევ არ გამხდარა ბევრი პარტიული ორგანიზაციისა და სამეურნეო ხელმძღვანელის ღვიძლი საქმე. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის კოლექტივების მუშაობა ჯეროვანი მიზანმიმართულებითა და კოორდინირებულად არ მიმდინარეობს. წარმოების ტექნიკური სრულყოფა, საჩარხე პარკისა და ტექნოლოგიური მრწყობილობის განახლება ზოგჯერ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანების, ახალი ნაწარმის ზამოშვებაზე ვადასვლის პერსპექტივის გაუთვალისწინებლად ხორციელდება. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა სტანდარტიზაციას — მაღალხარისხოვანი პროდუქციის ზამოშვების ძირითად რგოლს. ცალკეულ საწარმოებში წარმოების ორგანიზაციაში არსებული ხარვეზების შედეგად ირღვევა მუშაობის რიტმი, არის იერიშობანას შემთხვევები. ზოგჯერ რაოდენობრივ მაჩვენებლებს აღწევენ ხარისხობრიკი მაჩვენებლების ხარჯზე. სუსტად მუშაობენ ტექნიკური კონტროლის სამსახურები.

მარტო გასულ წელს ქალაქის ქარხნებმა და ფაბრიკებმა მიიღეს ორი ათასზე მეტი რეკლამაცია, რის ზამოკ ბარტო ჯარიმის სახით გადახდილია 3.3 მილიონ მანეთზე მეტი. სახსტანდარტმა 21-ჯერ აკრძალა ნაწარმის ცალკეული პარტიებისა და თვით რამდენიმე სახეობის პროდუქციის რეალიზაცია. ბევრი რეკლამაცია მიიღო ამრეშუმის საწარმოო გაერთიანებამ, კამოლმაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველომ“, შალსაქსოვა ფაბრიკამ, № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკამ და სხვა საწარმოებმა. თბილისის საწარმოთა მიერ ზამოშვებულ მასობრივი მოხმარების საქონელზე არ არის საკმარო მოთხოვნა ნედლეულისა და მასალების. შეიუოთვისა და ზამფორმების დაბალი ხარისხის ზამო. ჯერ კიდევ მაღალია ექსპლოატაციაში მყოფი მორლოდად მოძველებული და გაცვეთილი მოწყობილობის პროცენტი, რაც აფერხებს წარმოების ეფექტიანობის ზარდას და ეარაყოფით გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე.

ჯერ კიდევ დაბალია მასობრივი საბინაო მშენებლობის ხარისხი, რაც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის მაცარი ინ ობიექტური განხილვის საგანი გახდა. მეტწილ შემთხვევებში სამშენებლო ორგანიზაციები სახლებს ამარებენ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებითა და მოსაპირკეთებელი სამუშაოების დაბალი ხარისხით, რაც ახალმოსახლეთა სამართლიან უკმაყოფილებასა და ჩივილს იწვევს.

დადგა დრო, ზაზასმით აღინიშნა პლენუმზე, ზარისხისათვის ლოკალური ბრძოლიდან გადავიდეთ პროდუქციის ხარისხის კომპლექსურ მართვაზე. პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლაში ძირთეესეიანი გარდატეხის მიღწევის შესაძლებლობას გვაძლევს სწორედ ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, რომლის არსი მარტო კონტროლის დახვეწა კი არ არის, არამედ ის, რომ გეგმაზომიერად შეიქმნას პირობები. რომლებიც გამორიცხავენ ზარისხო შესრულებას პროდუქციის დამზადების მთელი პროცესის მანძილზე. სამწუხაროდ, მთელ რიგ საწარმოებში ამ სისტემის დანერგვა ფორმალურ ხასიათს ატარებს, იწვევს ტექნიკური კონტროლის სამსახურის დუბლირებას, არსებითად კი საქმე ძველებურად მიდის.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ თბილისის მრეწველობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხარისხისათვის ბრძოლას. მის წარმატებაზე დამოკიდებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საქართველოს დედაქალაქის წამყვანი როლის შენარჩუნება. პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, მისი ტექნიკურ-ეკონომიკური დონის ამაღლება — ნიშნავს აქტიურად შევუწყოთ ხელი, რომ თბილისის საწარმოები სანიმუშო გახდნენ, საქართველოს დედაქალაქი კი კომუნისტური შრომის, სანიმუშო კულტურისა და ყოფაცხოვრების ქალაქი.

პლენუმზე გულდასმით გააანალიზეს ყველა ძირითადი ფაქტორი, რომლებიც ზეწს წარმოშობენ. აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო, ტექნიკურ და შრომის დისციპლინას, თუ რაოდენ საჭიროა არა კამპანიურობა, არამედ გეგმაზომიერი სისტემატური ბრძოლა ხარისხისათვის, მატერიალური და მორალური სტიმულირების სისტემების შემუშავებისა და დანერგვისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების უფრო ფართო გამოყენებისათვის. აღინიშნა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, კერძოდ, სამშენებლო წარმოებაში, სამუშაოთა დაბალი ხარისხი არის კადრების შერჩევისა და აღზრდისადმი, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისადმი, ნაყოფიერი შრომის პირობების შექმნისადმი უყურადღებობის შედეგი.

პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ღრმად არ სწვდებიან მიზეზებს, რომლებიც აფერხებენ ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდას, არ იღვწიან, რომ წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივი ამაღლება საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მთავარი მიზანი, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ძირითადი ზნეობრივი კრიტერიუმი გახდეს. როცა საბჭოთა მოქალაქეებს განუმარტავთ კონსტიტუციით მინიჭებულ დიდ უფლებებს, საჭიროა უფრო ამ ფაქტზე ზეწ-ზეწ მეტადრომ არის დაკავშირებული ეს უფლებები თითოეული მშრომელის მოვალეობებთან, მოქალაქეობრივ ვალთან ხალხისა და საზოგადოების წინაშე.

არც ერთი ჩამორჩენილი

საქმე ეხება ჩვენი მოძმეფიფებული სოციალისტური საზოგადოების წევრთა პასუხისმგებლობას არა მარტო პირადი წარმატებებისათვის, არამედ ამისათვის, რომ გვერდით არ გვყოფდეს არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი, რომ თბილისს პირველი მაისის რაიონისა და ქუთაისის მშრომელთა მოწოდებისამებრ ვიმუშაოთ ჩამორჩენილი საწარმოების, საამქროების, უბნების, ბრიგადების გარეშე. პლენუმის მონაწილეთა განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვიეს ქალაქის მოსახლეობის საფუძვლიანმა პრეტენზიებმა. ბევრი სახეობის ნაწარმის ხარისხისადმი, რომლებსაც უშვებენ სამკერვალო, ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკები. მაგალითად, მოიხმარებელთა მოთხოვნებს აშკარად არ შეეფერება ფაბრიკა „კარწახისის“ ქალის წინდები, ფაბრიკა „ისნის“ ფეხსაცმელი, № 2 მექანიკური ქარხნის საოჯახო ჭურჭელი და ადგილობრივი მრეწველობის, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსა და სპეციალთა საწარმოების მიერ გამოშვებული ზოგიერთი ნაწარმი. მარტო შარშან, საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის მთავარი სამმართველოს მონაცემებით, 130 შემოწმებული სამრეწველო საწარმოდან უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტები დადგენილი 101 საწარმოში. სულ კი დაწუნებული ან გამოსასწორებლად დაბრუნებული იყო მასობრივი მოთხოვნის შემოწმებული საქონლის 22 პროცენტი.

პლენუმის მონაწილეებმა ყურადღება მიაპყრეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაბალ ხარისხს, განსაკუთრებით მასობრივ საბინაო მშენებლობაში. მაგალითად, 1976 წელს აშენებული 153 საცხოვრებელი სახლიდან მხოლოდ ორმა დაიმსახურა შეფასება „ფრაადი“, ხოლო 81 სახლი მიღებული იყო დამაკმაყოფილებელი შეფასებით, ესე იგი ჰქონდათ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი. გამოითქვა სერიოზული საყვედური მშენებლობის სამინისტროს, მთავარმართველობის, საპროექტო და საინჟინრო ორგანიზაციათა მიმართ.

□

პლენუმის დადგენილება შეიცავს ქალაქის პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის კონკრეტულ პროგრამას მშენებლობისა და სამრეწველო პროდუქციის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში, დამტკიცდა 1976-1980 წლების ხარისხის გაუმჯობესების ძირითად ღონისძიებათა გეგმა.

პლენუმმა დამტკიცა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებათა გეგმა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებით.

პლენუმმა გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტები დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, ახალი, მხოლოდ ერთ-ერთ, ულამაზესი ფიტილი ანთებენ ამ ბრძოლაში, ამ ბრძოლაში, ამ ბრძოლაში.

ანგარიში

ბ. ბოლოდინი

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

წინადადებები

შეიძლება ასე აჯობოს

მოსავლის აღებისა და პირუტყვის საკვების დამზადების ალოობაა განაღებული თერჯოლის რაიონის სოფლებში. ათასობით მშრომელი გამოსულა მინდვრად და ამბინავებენ ნაშრომ-ნამამაგარს.

საოამრობით სასოფლო კლუბებში ამართება ხალხმრავალი კრებები, განიხილავენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, აწონებენ, გამოთქვამენ თავიანთ შენიშვნებსა და წინადადებებს.

აი ზოგიერთი მათგანის მოსაზრებანი.

ჯ. დოლაბაძე — რუფოთის საშუალო სკოლის მასწავლებელი:

— პროექტის 43-ე მუხლი განსაზღვრავს სსრ კავშირის მოქალაქეების მატერიალურ, საპენსიო უზრუნველყოფას. ეს ერთსულოვან მოწონებას იმსახურებს, მაგრამ თავს უფლებას ვაძლევ გამოვთქვა ჩემი მოსაზრება. კერძოდ, კარგი იქნება, თუ სახელმწიფო კანონით დადგინდება, რომ ბიროვნება მოხუცებულობის პენსიას დაინიშნავს და მიიღებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი გამავსებულ ფლები ძირითადი სამუშაოდან. ამ მოსაზრებას ამ საფუძველზე გამოვთქვამ, რომ არც თუ ეშვიათად მოქალაქეები საპენსიო ასაკის მიღწევისთანვე ინიშნავენ პენსიას და განაგრძობენ მუშაობას ძირითად ადგილზე, იმავე დროს კი ახალგაზრდა სპეციალისტები სრულად დატვირთული როდი არიან.

ჯ. ბოდებაძე — ზედა საზანოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე:

— მუხლი 12-ე ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირის მოქალაქეებს შეეძლიათ სარგებლობისათვის იქონიონ მიწის ნაკვეთები, რომლებსაც მათ სახელმწიფო და კოლმეურნეობანი აძლევენ კანონით დადგენილი წესით დამხმარე მეურნეობის გაძღოლისათვის. ეს კარგი და აუცილებელია, მაგრამ მიწათსარგებლობის წესების დაცვისათვის ზომ არ აკობებდა ამავე მუხლში შეგვეტანა ფიტების სახით, რომ იმას, **ვინც დაარღვევს დამხმარე მეურნეობისათვის განსაზღვრულ ნორმას, დაეკისრება სასამართლო პასუხისმგებლობა.**

(იწერა ო. ნიჟარაძეს.

მომავალ თაობაზე ზრუნვით

ახალი კონსტიტუციის პროექტის ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია ადამიანისათვის ზრუნვით, ბავშვებისადმი — ჩვენი ქვეყნის მომავალი სადმი — სათუთი დამოკიდებულების სულიაკვეთებით. ეს გვაბარებს, ამიტომ მბარს ვუქმნიდეთ დერთსულოვნად ვიფონებთ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს.

ამასთან გვაქვს საკუთარი მოსაზრებაც ზოგიერთი მუხლის დაზუსტების თაობაზე.

მე-12 მუხლი გვეუბნება: „სსრ კავშირის მოქალაქეებს შეიძლება პირად საკუთრებად ჰქონდეთ შრომითი შემოსავალი და დანაზოგი, საცხოვრებელი სახლი და დამხმარე საოჯახო მეურნეობა, საყოფაცხოვრებო, პირადი მოხმარების საგნები...“ აქვე სიტყვა „საგნების“ შემდეგ თუ ჩაემატება ფრაზა: **„იმ რაოდენობითა და მოცულობით, რომელიც ხაზოგადოებრივი აზრით მიზანშეწონილად არის მიჩნეული“** — ვფიქრობ, უკეთესი იქნება.

42-ე მუხლში მითითებულია „ბავშვთა შრომის აკრძალვა“. ეს მოსაწონია, ხოლო თუ ასაკიც იქნება განსაზღვრული, უმჯობესია.

66-ე მუხლით სსრ კავშირის მოქალაქენი მოკალენი არიან ზრუნავდნენ შვილების აღზრდისათვის, ამზადებდნენ მათ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისათვის, ზრდიდნენ „სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრად“, საჭიროდ მიმაჩნია, აქვე ჩაემატოს: **„თუ ამ საპატიო მოვალეობას მოქალაქე არ შეასრულებს, მას ჩამოერთვის შშობლის უფლება და ბავშვი აღიზრდოს სახელმწიფო საალმზრდელო დაწესებულებაში“.**

(იწერა **ვ. ნიხამინჯიას,**

ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათის სუ[illegible] ლო ხელოვნების დირექტორი.

თავისუფალი დროის ფასი

** კომუნისტური** საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როცა სულ უფრო სწრაფად იზრდება მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, ეალრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა თავისუფალი დროის რაციონალურ გამოყენებას, რაც საბჭოთა ადამიანების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარების, მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

ჩვენი საზოგადოების განვითარების ისტორიის მანძილზე კარდინალურად შეიცვალა მშრომელთა თავისუფალი დროის სიდიდე, მისი სტრუქტურა და გამოყენების ხასიათი. ამ ცვლილებებს ნათლად ასახავს დროის ბიუჯეტის უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევათა მონაცემები. კერძოდ, ოცეან წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა ოჯახური მეურნეობის გაძღოლაზე გაწეული დროის დანაზარჯები. ამასთან, თუ ქალების მიერ ამ მიზნით დახარჯული დრო 3-ჯერ მეტი იყო მათ თავისუფალ დროზე, ამჟამად ეს მაჩვენებლები თითქმის გათანაბრდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა თავისუფალი დროის ის ნაწილი, რომელიც სწენლისა და თვითგანვითარების, მხატვრული თვითმოქმედების, ლიტერატურისა და ხელოვნების და საერთოდ კულტურული ცხოვრების სხვა ფორმებისათვის იხარჯება. მნიშვნელოვნად დაეუახლოვდა ერთმანეთს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკების, მამაკაცებისა და ქალების თავისუფალი დროის დანაზარჯების სტრუქტურა.

ეს ცვლილებები ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული დიდი სოციალურ-ეკონომიკური ძვრების შედეგია. იგი დაკავშირებულია მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებასთან, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობასთან, მომსახურების სფეროს განვითარებასთან, უდიდეს მეცნიერულ და ტექნიკურ პროგრესთან.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში დროის ბიუჯეტის შემადგენელი ელემენტების მრავალი განზოგადებული მაჩვენებელია, რომლებიც საკმაოდ ზუსტად ახასიათებენ მშრომელთა თავისუფალ დროს, გვიჩვენებენ, რა როლს ასრულებს დროის ფაქტორი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, რაოდენ მნიშვნელოვანია იგი ადამიანის ნიჭისა და უნარის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

მშრომელთა დროის ბიუჯეტის ანალიზი ნათლად ავლენს იმ უდიდეს სოციალურ გარდაქმნებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ბორკიელდება ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, თანდათანობით მცირდება მძიმე და დამქანცველი ოჯახური შრომა და იზრდება საზოგადოებრივი სიმდიდრის უმთავრესი საზომი — თავისუფალი დრო. ამასთან, გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ სრულყოფილად არ გამოიყენება თავისუფალი დრო, მეტად უთანაბრდაა განაწილებული თავისუფალი დრო მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას, ავრეთვე სოციალურ-პროფესიულ ჯგუფებს შორის. განსხვავებულია ეს მაჩვენებელი სქესის მიხედვითაც, რაც სოციალისტური საზოგადოების წინაშე მრავალ პრობლემას აყენებს და რაოდენ სასიხარულოა, რომ ეს პრობლემები ეტაპობრივად და რელიეფურადაა გამოკვეთილი სსრკ ახალი კონსტიტუციის პროექტში, ეპოქის უდიდეს ისტორიულ დოკუმენტში.

კომუნისტური საზოგადოების ჰარმონიული განვითარების მტკიცე გარანტია

ახალი კონსტიტუციის პროექტში, ამჟამად მოქმედი კონსტიტუციისაგან განსხვავებით, ნათლადაა ნათქვამი, რომ „საბჭოთა სახელმწიფო მიზნად ისახავს გაადვილოთოოს ტრიალური შესაძლებლობანი მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის განვითარებისა და გამოყენებისათვის, პროოფესიის ყოველმხრივი განვითარებისათვის“. პროექტში ხაზი აქვს გასმული პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის ოფიციალურ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიცაა მშრომელთა თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენების პირობების შექმნა. ამასთან მოცემულია ამ ამოცანის განხორციელების რეალური გარანტია.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში თავისუფალი დრო ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენებისათვის იქმნება ახალი შესაძლებლობანი. რაც მთელი სისრულით აისახა ახალი კონსტიტუციის პროექტში. ეფექტურეს ყოველსა, ოდნავ აღინიშნოს, რომ თავისუფალი დროის სიდიდე და მისი გამოყენების ხარისხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია შრომის პირობებზე, მის შინაარსსა და ხასიათზე. როგორც ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტშია აღნიშნული. საბჭოთა სახელმწიფო ხელს უწყობს ქალაქსა და სოფელს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობას, ზრუნავს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს შრომის პირობები, შემცირდეს. მერე კი მთლიანად განიდევნოს მძიმე ხელის შრომა წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე. სსრ კავშირში თანამიმდევრულად ხორციელდება პროგრამა, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო შრომა გადაიქცეს ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად. ამ საკითხთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც დროის ბიუჯეტის გამოკვლევები გვიჩვენებს, თავისუფალი დროის ნაკლებობა ან არ არის, არამედ ის, რომ გეგმაზომიერად შეიქმნას პირობები. რომლებიც გამორიცხავენ ზარისხო შესრულებას პროდუქციის დამზადების მთელი პროცესის მანძილზე. სამწუხაროდ, მთელ რიგ საწარმოებში ამ სისტემის დანერგვა ფორმალურ ხასიათს ატარებს, იწვევს ტექნიკური კონტროლის სამსახურის დუბლირებას, არსებითად კი საქმე ძველებურად მიდის.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ თბილისის მრეწველობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხარისხისათვის ბრძოლას. მის წარმატებაზე დამოკიდებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საქართველოს დედაქალაქის წამყვანი როლის შენარჩუნება. პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, მისი ტექნიკურ-ეკონომიკური დონის ამაღლება — ნიშნავს აქტიურად შევუწყოთ ხელი, რომ თბილისის საწარმოები სანიმუშო გახდნენ, საქართველოს დედაქალაქი კი კომუნისტური შრომის, სანიმუშო კულტურისა და ყოფაცხოვრების ქალაქი.

პლენუმზე გულდასმით გააანალიზეს ყველა ძირითადი ფაქტორი, რომლებიც ზეწს წარმოშობენ. აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო, ტექნიკურ და შრომის დისციპლინას, თუ რაოდენ საჭიროა არა კამპანიურობა, არამედ გეგმაზომიერი სისტემატური ბრძოლა ხარისხისათვის, მატერიალური და მორალური სტიმულირების სისტემების შემუშავებისა და დანერგვისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების უფრო ფართო გამოყენებ

ნათელი მომავლის რწმენით

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი

გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი, რომელიც განიხილა საკითხი — საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტი და საქართველოს კომკავშირის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებასთან დაკავშირებით.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდები, საქართველოს კომკავშირი, — თქვა მომხსენებელმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. შარტავამ, — თავის მგზნებარე ხმას უერთებენ საქართველოს კომუნისტებისა და მშრომელების მხურვალე გულისთქმას, რომელიც ასე შესანიშნავად გამოიხატა ამ დღეებში გამართულ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე და უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე. ისინი გულმხურვალედ, ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მეექვსე სესიიის გადაწყვეტილებას, რომლითაც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი არჩეულია საპჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

საბჭოთა კავშირის ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე, — განაგრძო მომხსენებელმა, — საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის ცხოვრებაში, ისევე როგორც მთლიანად ჩვენს რესპუბლიკაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ამ ხნის მანძილზე საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია თავლსაჩინოდ გაიზარდა როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივადაც, ამაღლდა მისი ავტორიტეტი და ბრძოლისუნარიანობა. ამას ასეთი ფაქტებიც მოწმობენ: თუ 1936 წელს რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციაში 107 ათასი ახალგაზრდა იყო გაერთიანებული, დღეს მათი რიცხვი 660 ათასს ჭარბობს; თუ 40 წლის წინათ კომკავშირული ფენა რესპუბლიკის მოსახლეობაში 2,9 პროცენტს არ აღემატებოდა, დღეს იგი 13,2 პროცენტს შეადგენს (მესამე მაჩვენებელი კავშირის მასშტაბით). საგულისხმოა, რომ ამავე პერიოდში რესპუბლიკის მოსახლეობა 38 პროცენტით გაიზარდა, მისი კომკავშირული ორგანიზაცია კი — 530 პროცენტით; უკანასკნელი წლების მონაცემებით ჩვენს რესპუბლიკაში ლენინური კომკავშირის რიგებში ყოველწლიურად 10-ჯერ მეტი ახალგაზრდა შედის, ვიდრე 1936 წელს.

გაიზარდა ახალგაზრდობის შრომითი აქტივობა. თუ ორმოცი წლის წინათ მხოლოდ საფუძველი ეყრებოდა კომუნისტური შრომისათვის გაწლილ საყოველთაო მოძრაობას, ამჟამად რესპუბლიკის მატერიალურ სფეროში დასაქმებული 350 ათასზე მეტი კომკავშირელიდან ყოველი მესამე ახალგაზრდა მუშა და კოლმეურნე კომუნისტური შრომის დამკვრელია, ან ამ საპატიო წოდების მოსაპოვებლად ებრძვის, ისევე ყოველი მესამე ახალგაზრდა რაიონალიზატორი ან გამომგონებელია.

ამ ხნის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკის კომკავშირის ავტორიტეტი. ამაზე ნათლად მეტყველებს ასეთი ფაქტებიც: შარშან კომკავშირიდან სკკპ რიგებში მიიღეს 7 ათასამდე ახალგაზრდა, 1936 წელს კი რესპუბლიკურ კომკავშირულ ორგანიზაციაში სულ პარტიის 5 ათასი წევრი იყო. ჩვენს რესპუბლიკაში არჩეული 49.371 დეპუტატიდან 9.780, ანუ 19,8 პროცენტი კომკავშირელია, ხოლო 15.203 დეპუტატი 30 წლამდე ასაკისაა; ყოველივე ეს კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმ უდიდესი ზრუნვისა, რომელსაც ჩვენი პარტია და მთავრობა, საბჭოთა ხალხი ჩვენს მიმართ, ახალგაზრდობის მიმართ იჩენენ.

საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს კომკავშირელებისა და ახალგაზრდების მნიშვნელოვანი წვლილი რესპუბლიკის ცხოვრების და სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში, — თქვა ჟ. შარტავამ, — მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ გვაქვს ნაკლოვანებები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

დღეს ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის არის, — ხაზგასმით აღნიშნეს როგორც მომხსენებელმა, ისე მოკამათეებმა, — რომ კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებსა და აქტივის კრებებზე, ღია კომკავშირულ კრებებზე, მაღალ იდეურ დონეზე, ორგანიზებულად და ღრმად განვიხილოთ ახალი კონსტიტუციის პროექტი და სკკპ ცენტრალურის კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან გამომდინარე კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები... ყოველივე ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, დიდი ოქტომბრის იუბილესთვის მზადების პერიოდში, როდესაც საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობისთვის სამზადისიც ემთხვევა...

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. ფატლაძე, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ვ. რუდი, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ზ. ეერქვანია, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი თ. ტაბაზმელაშვილი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფრიადოსანი სტუდენტი თ. აბვლედიანი, კომკავშირის თბილისის საქარხნო რაიონის პირველი მდივანი ჯ. მარგველაძე, თელავის რაიონის განთა კოლმეურნეობის მეგენახე, სასოფლო საბჭოს დეპუტატი ზ. კირკალაძე, კომკავშირის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ა. კურდოღლიანი, ამერეკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი, მეცნიერების მეცნიერებათა კანდიდატი დ. ნაკანი, საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. შუბლაძე, კომკავშირის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი რ. მამალაძე, ამერეკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი კომკავშირული მუშაობის დარგში ე. სერგეევი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ახალციხის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ზ. მინდიაკური, „თბილისის“ (გარდაბნის რაიონი) კომკავშირის კომიტეტის მდივანი ს. იუსუპოვი, თბილისის 77-ე საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. ფაჩუაშვილი, „ბავშვთა და მოზარდთა საზაფხულო დასვენების, „მესამე შრომითი სემესტრისა“ და „მეხუთე შრომითი მეოთხედის“ მომზადებისა და ორგანიზაციის მიზნით გაწეული მუშაობის შესახებ;“ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციათა განყოფილების გამგის ე. ზენაიშვილისა — როგორ ასრულებენ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის IV პლენუმის დადგენილებას „კომკავშირის კომიტეტების იმოქმედონ კომკავშირული კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში“ და „საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმზე გამოთქმული კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებაზე რეაგირების შესახებ“.

პლენუმმა აგრეთვე მოისმინა ინფორმაცია კომკავშირის თეთრიწყაროს რაიკომის პირველი მდივნის ა. აბესაძისა — როგორ სრულდება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება „თეთრიწყაროს რაიონული კომიტეტის ორგანიზატორულ-პოლიტიკურ მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა თაობაზე საქართველოს კომკავშირული აქტივის კრების 1973 წლის ივნისის გადაწყვეტილებათა განხორციელების შესახებ“.

პლენუმის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, „თბილისის“ (გარდაბნის რაიონი) კომკავშირის კომიტეტის მდივანი ს. იუსუპოვი, თბილისის 77-ე საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე გ. ფუხაშვილი.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ ისინი საქართველოს ყველა კომკავშირელ ახალგაზრდასთან და მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად სავსებით იწონებენ ახალი კონსტიტუციის პროექტს, მაღალ შეფასებას აძლევენ საკონსტიტუციო კომისიის, პირადად მისი თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს წვლილს ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის შემუშავებაში. მათ რესპუბლიკის ახალგაზრდობის სახელით განაცხადეს, რომ ფართო მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაში და ამ საქმიანობას ორგანულად დაუკავშირებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთვის ღირსეული შეხვედრისათვის გაწლილ სამზადისს.

პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სავსებით და მთლიანად მოიწონა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებები, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში მოცემული დებულებები და დასკვნები.

პლენუმზე მოისმინეს ინფორმაციები: საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ვ. ბაქრაძისა — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღნიშვნისათვის საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მზადების შესახებ“; საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ორჯონიკიძისა — „ლენინური კომკავშირის დამკვრელური ობიექტებისა და მისი (საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება, ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობა, ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების ვაუჩერებესება) რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის შეფობის მომდინარეობის შესახებ“; საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ფაჩუაშვილისა — „ბავშვთა და მოზარდთა საზაფხულო დასვენების, „მესამე შრომითი სემესტრისა“ და „მეხუთე შრომითი მეოთხედის“ მომზადებისა და ორგანიზაციის მიზნით გაწეული მუშაობის შესახებ;“ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციათა განყოფილების გამგის ე. ზენაიშვილისა — როგორ ასრულებენ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის IV პლენუმის დადგენილებას „კომკავშირის კომიტეტების იმოქმედონ კომკავშირული კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში“ და „საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებაზე რეაგირების შესახებ“.

ქუდზე კაცი — ნაცართან, ჭრაქთან: ცალკეშეკრულ!

კარგი მევენახეობა ცალფი...

გურჯაანელები 90 ათას ტონა ყურძნისათვის იბრძვიან

ივლისიც დადგა და ვენახმა ჩამოყალიბებული სახე მიიღო. დღითი დღე ივსება მარცვალი, კუმსი მტევნები გვიჩვენებს, რომ მოსავალს კარგი პირი უჩანს. ყურძნის უხვი მოსავლისათვის დიდი შრომა დასჭირდათ გურჯაანელ მეზვრეებს, ბევრი ოფლი აიღვარა ყოველი ვაზის ძირში.

გურჯაანელ მეზვრეებს არასოდეს უღალატიათ ვაზისათვის და არც ახლა, ამ ხშირწვიმიანობის მკაცრ პირობებში მიუტოვებიათ ღვთის ანაბარად. ამჟამად საზოგადოებრივ მეურნეობებს 12 ათასი ჰექტარი ზვრები აქვთ. 90 ათასი ტონა ყურძენი — აი გურჯაანელ მევენახეთა წლევანდელი მოწა. საიუბილეო წლის დიდი რთველისათვის ლაშქრობა გასული წლის შემოდგომიდანვე გაჩაღდა. მაშინვე ყოველგვარი სამუშაო აგროტექნიკური ვადებში განხორციელდა. ზამთარშიც ხელი არ მოუკლიათ — სხლეიდნენ ვაზს და საყრდენს უმაგრებდნენ, გაზაფხულზე დროულად შეუყელეს და საგულდაგულოდ მოემზადნენ შემდგომი სამუშაოების სწრაფად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

მაგრამ ადვილი არ აღლის მევენახეებს... გაზაფხულზე დაწყებული წვიმები ახლაც არ წყდება. მევენახეებს საშუალება არა აქვთ ვაზს ნორმალურად მოუარონ. მაისსა და ივნისში უფრო მოძალდა სამუშაოები. ერთხანს გაუჭირდა ვაზს, სარეველებმა იმძლავრა. სოკოვანი დაავადებებს — ჭრაქსა და ნაცრის გაჩენის საშიშროება შეიქმნა.

გურჯაანელ მშრომელებს კარგად ახსოვთ შარშანდელი მწარე გაკვეთილი, როცა ჭარბი ნალექების გამო ვაზილა სამუშაოთა შესრულება. ამიტომ ახლა საგანგებო ზომები მიიღეს, რომ შარშანდელი შეცდომები აღარ განმეორებულიყო.

პარტიის გურჯაანის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა მთელი ყურადღება ვენახებზე გადაიტანეს. რაიონის ვენახებში სამუშაოთა დროული და მაღალხარისხოვანი შესრულებისადმი კონტროლის გასაწევად შეიქმნა შტაბი, რომლის წევრები ყოველდღიურად ამოწმებენ ზვრებს, შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ადგილზე ოპერატიულ ღონისძიებებს ახორციელებენ.

დაირაზმნენ მშრომელები, ქუდზე კაცი გავიდა ზვრებში. ქალაქ გურჯაანის საწარმოთა მუშები, ინტელიგენცია მხარში ამოუდგნენ მეზვრეებს. ეჭიმმა თუ მასწავლებელმა, ინჟინერმა თუ წარმოების მუშამ, ყველამ, ვისაც კი უყვარს ვაზი, ვენახს მიაშურა და მიუხედავად უამინდობისა, შეუპოვრად. საგულდაგულოდ შეებრძოლნენ ვაზის მავნებლებსა და დაავადებებს. 152 შესაწამლი აგრეგატი ახმიანდა ზვრებში. ნაყოფიერი შრომის შედეგი ერთობ დიდია. გურჯაანის ზონაში ვენახები რვაჯერ შეწამლა, კაკრეთის ზონაში კი — შვიდჯერ. აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოებრივი მეურნეობების უმრავლესობა წამლობას 3-4 დღეში ამთავრებს. მაგრამ რაიონის ზვრებში ზოგიერთ ნაკვეთზე ჭრაქისა და ნაცრის კერები მაინც არის. ჭრაქი ყურძენზე კი არა, მაოლოდ რქის წვერებზე ამატანილ ნამხრვევებზე შეიმჩნევა. ამ დაზიანებულ ნამხრვევებს ახლა სწრაფად აცლიან. 6 ათასი ჰექტარი მესამედ გაიფურჩნა. ეს სამუშაო რამდენიმე დღეში მთლიანად დამთავრდება. საერთოდ, მწვანე ოპერაციები რაიონში წარმატებით მიმდინარეობს.

რაიონის მეზვრეები გონივრულად იყენებენ ინტენსიფიკაციის ყველა ბერკეტს. სრული დოზით არის შეტანილი ზვრებში მინერალური და ორგანული სასუქები. ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში გამართულად მუშაობს ტექნიკა. ვაზის დაავადებათა საწინააღმდეგოდ მეტ წილ საზოგადოებრივ მეურნეობებში მდგომარეობა სწორდება.

...და მაინც ზოგ საზოგადოებრივ მეურნეობაში შექმნილ მდგომარეობას ალღო ვერ აუღეს, გადამჭრელი ღონისძიებები დროულად ვერ განახორციელეს. მოადუნეს გულისყური და საქმე ჩამორჩათ, ზოგან სარეველები გაჩნდა და შემდეგ, ფაქტის წინაშე რომ დადგნენ, მხოლოდ მაშინ დაფაცურდნენ. რაიონულმა შტაბმაც ყველაფერი იღონა და ახლა ნაკლოვანებები თანდათან სწორდება.

ᲥᲣᲓᲖᲔ ᲙᲐᲪᲘ — ᲜᲐᲪᲐᲠᲗᲐᲜ, ᲭᲠᲐᲥᲗᲐᲜ: ᲪᲐᲚᲙᲔᲨᲔᲙᲠᲝᲚᲘ!

კოლაგის მეოთეოლეს სანერგე მეურნეობაში 20 ჰექტარ ვენახში ნაცარი გაჩნდა. ნაცრის ერთეული კერები ადრეულ საფეთქელ მეურეოლ-ს ჯიმითის განყოფილებასა და სხვა საზოგადოებრივ სექტორებში — მაგალითად, ნაცრით გავრცელების ნიშნები რაიონის თვალუწვდენელ ზვრებში თითქოროლოა ნაკვეთებში შეიმჩნევა. მაგრამ ამით გურჯაანელები თვითდამშვიდებას არ ეძლევიან, ეულმოდგინედ ზრუნავენ იმისათვის, რომ ეფექტიანი მკურნალობა დაუყოვნებლივ მოისპოს. დაავადების კერები, თავიდან აიცილონ ყურძნის დაზიანების ყოველგვარი შემთხვევა. ამიტომ სამუშაოთა ტემპი დღეითიდან მატულობს.

რაიონის მევენახეები კვლავაც საგულდაგულოდ იშრომებენ და მთლიანად შეინარჩუნებენ მოსავალს, ქქნებათ დიდი რთველი, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის იუბილეს ღირსეული მაჩვენებლებით შეხვდებიან, სახელმწიფოს 90 ტონა ყურძენს მიაყიდიან. — ასეთია მევენახეთა გადაწყვეტილება.

რედაქციის მონაცემებით: ნ. ჯაფი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის სამმართველოს უფროსი, მ. ბერიძეშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი, ზ. მანიკაშვილი — პარტიის გურჯაანის რაიონის ინსტრუქტორი, შ. ბერიკაძლაშვილი — რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, ბ. ბაბრიაშვილი — გურჯაანის რაიონული გაზეთის „ლენინის გზით“ რედაქტორი.

მიმართვა

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საგოლოო აქტის ხელმოწერა სახელმწიფოთა პარლამენტარებისადმი

ჩვენ, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სოციალისტურ სახელმწიფოთა პარლამენტარები — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების დეპუტატები, რომლებიც ლენინგრადში, შეთანხმებულ კვორუმის მქვიდობის და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების აქტუალური პრობლემების გასაცილებლად, ამ მოწოდებით მივმართავთ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის ხელმოწერი ყველა სახელმწიფოს პარლამენტებსა და პარლამენტარებს. სრულიად ევროპის თათბირის შემდეგ განვლილმა დრომ დამაჯერებლად ცხადყო, რომ საბოლოო აქტში ფიქსირებული პრინციპები და მორიგებანი სულ უფრო ღრმად იფესვება სახელმწიფოთა ურთიერთობის პრაქტიკაში.

ღრმავდება და ფართოვდება ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლების პოლიტიკური კონტაქტები ყველა დონეზე, მათ შორის საპარლამენტო დონეზეც. ეს ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებას, ხალხთა შორის უკეთეს ურთიერთგაგებას.

ფართოვდება თანამშრომლობა ეკონომიკის, ვაჭრობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, გარემოს დარგში. სასარგებლო შედეგები მოაქვს კავშირურთიერთობის განვითარებას კულტურის, მეცნიერების, განათლების, ინფორმაციის სფეროში, კონტაქტებს ადამიანთა შორის. ეს, რა თქმა უნდა, შეესაბამება ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს.

ცხოვრება ადასტურებს, თუ რაოდენ რეალურია ჰელსინკის თათბირის საბოლოო აქტში დასახული უშიშროების უზრუნველყოფის, დაძაბულობის შენელების გაღრმავების, სახელმწიფოთა სოციალური წყობილების მიუხედავად თანასწორუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის დამყარების პროგრამა. იმედი გვაქვს, რომ თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ბულგარული შეხვედრა ხელს შეუწყობს ამ გრძელვადიანი პროგრამის შემდგომ რეალიზაციას.

მაგრამ ევროპის მშვიდობის განმტკიცების, დაძაბულობის შენელების პროცესი ბევრ სიძნელესაც აწყდება. რეაქციის, მილიტარიზმისა და რევანშიზმის ძალები ეჩიჩებენ გამლეტულ შეიარაღებას, ცდილობენ ეჭიქვეშ დააყენონ დაძაბულობის შემდგომი შენელების შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა, ანდა საერთოდ ამოძირკვონ ეს ცხება პოლიტიკური ცხოვრების ლექსიკონიდან. არის საბოლოო აქტის არსის დამახინჯების, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევისათვის ამ დოკუმენტის შირმად გამოყენების ცდები.

რაკი შევნიშნეთ ვგვაქვს მშვიდობის შენარჩუნებისათვის მაღალი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრებათ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის მონაწილე ყველა სახელმწიფოს პარლამენტებს, ჩვენ მოვუწოდებთ პარლამენტარებს აქტიურად დაეჭიროონ მხარი დაძაბულობის შენელების შემდგომ გაღრმავებას, ომის საფრთხის შენელების, კონტინენტზე მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

ჩვენ მოვუწოდებთ პარლამენტებს მეტი ძალ-ღონე მოახმაროონ გამალებული შეიარაღების შეწყვეტასა და განიარაღების, უწინარეს ყოვლისა ატომური განიარაღების განხორციელებას. თუ ეს კარდინალური ამოცანა არ გადაწყდა, ვერ უზრუნველვყოთ ნამდვილ უშიშროებას მსოფლიოში, შეუქცევადს ვერ გავხდით დადებითს ტენდენციებს საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში. ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ დაიდება შეთანხმებანი სამხედრო ხარჯებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, მოისპობა უცხოეთის სამხედრო ბაზები და განხორციელდება რეალური განიარაღების სხვა ღონისძიებანი.

ჩვენ განსაკუთრებით ვართ დარწმუნებული, რომ ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების გზაზე ეფექტიანი ნაბიჯი იქნება სრულიად ევროპის თათბირის ყველა მონაწილეს შორის დაიდოს ხელშეკრულება, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ პირველი არ გამოიყენებენ ატომურ იარაღს. ეს ხელშემწყობ წინამძღვრებს შეუქმნიდა გამალებული ატომური შეიარაღების სრული შეწყვეტის, მიგული მისი მარაგის შემცირებისა და თანდათანობით ლიკვიდაციის შესახებ მორიგებათა მიღწევას.

ჩვენ მოვუწოდებთ პარლამენტარებს მხარი დაუჭირონ იმას, რომ არ განხორციელდება მომზადება, რომელიც ხელს შეუწყობს ახსებული ომის ქარდახშული ჯგუფებისა და სამხედრო-პოლიტიკური კავშირების გაფართოებას ან ახალთა შექმნას.

ჩვენ მოვუწოდებთ პარლამენტარებს თავიანთი წვლილი შეიტანონ ევროპის სახელმწიფოებს ღონისძიებათა გაერთიანებაში ისეთი საარსებო მნიშვნელობისა და გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტისათვის, როგორიცაა გარემოს დაცვა, თანამშრომლობა ენერგეტიკისა და ტრანსპორტის დარგში, ოგრეთვე სხვა დარგებში, და ამ მიზნით შესაბამისი კონგრესებისა თუ სახელმწიფოთაშორისი თათბირების მოწყობაში.

ჩვენ მოვუწოდებთ პარლამენტარებს ნელი შეუწყონ ჰუმანიტარულ დარგებში თანამშრომლობის შესაძლებლობათა ეფექტიან გამოყენებას ხალხთა შორის სულიერ ფასეულობათა ფართოდ გაცვლისათვის, ერთმანეთთან მათი დაახლოებისათვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის პარლამენტარების, მათი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების თანამშრომლობა ჰელსინკში ხელმოწერილი საბოლოო აქტის თანამიმდევრული განხორციელების დადებითშენელოვანი ფაქტორი შეიძლება გახდეს და მზად ვართ საქმიანი მონაწილეობა მივიღოთ ასეთი თანამშრომლობის განვითარებაში.

ჩვენ მზად ვართ კონკრეტულად განვიხილოთ სხვა ქვეყნების პარლამენტარებთან როგორც 1976 წლის ნოემბერში ვართან ხელშეკრულების მონაწილე პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუქარესტის თათბირის მიერ წამოყენებული სავრეო-პოლიტიკური ინიციატივები, ისე ყველა სხვა კონსტრუქციული წინადადება, რომელიც მიზნად ისახავენ სახელმწიფოთა და ხალხთა ურთიერთობის განვითარებას კეთილმოსურნეობისა და ნდობის სულისკვეთებით. ასევე ადი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ დაიდება შეთანხმებანი სამხედრო ხარჯებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, მოისპობა უცხოეთის სამხედრო ბაზები და განხორციელდება რეალური განიარაღების სხვა ღონისძიებანი.

ჩვენ ვიცხადებთ, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ყოველნაირად შევიწყოთ ხელი სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტის ყველა დებულების განხორციელებისა და განხორციელებას, აქტიურად ვიბრძოლოთ დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის, და მოვუწოდებთ სხვა ქვეყნების პარლამენტარებს ასევე იმოქმედონ.

ხალხთა უდრეკი ნება

ლენინგრადი, 6 ივლისი. (საკუთარი). დღეს აქ მუშაობას განაგრძობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პარლამენტარების საკონსულტაციო შეხვედრა.

დილის პლენარულ სხდომაზე, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მარშლის ს. გაუცას თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდენტი ჰ. ზინდერმანნი.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მხარს უჭერს განიარაღების შესახებ ყველა წინადადებას, რომელსაც შეიტანს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ წამოყენებული მშვიდობის პროგრამა, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების საკითხებზე საბჭოთა კავშირის მემორანდუმი, რომელიც ბიერთანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 31-ე სესიას გაეგზავნა.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარემ ა. ინდრამ თქვა, რომ მისი ქვეყნის პარლამენტარებს ახლანდელი შეხვედრის ერსად და მიზნად მიაჩნიათ ის, რომ ყველა საშუალება გამოიყენონ ახალი ომის საშიშროების თავიდან აცილებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მეორე დილის სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარის ე. ჯოსანის თავმჯდომარეობით, მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა კუბის დელეგაციის მეთაურმა, კუბის რესპუბლიკის სახალხო ხელისუფლების ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილემ რაულ როა გარსიამ.

შემდეგ გამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების თავმჯდომარის მოადგილე ნ. გეორგიევი.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარის მოადგილემ ბ. კუჩერამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობის პროგრამა, რომელიც წამოაყენა სკკპ XXIV ყრილობამ და შემდეგ თანამიმდევრულად ახალი პირობების შესაბამისად განავითარა სკკპ XXV ყრილობამ, ის პროგრამაა, რომელიც შეესაბამება ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ღრმა ინტერესებსაც.

დღის სხდომაზე, რომელიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარის ა. ინდრას ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, გამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის წევრი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ვ. ვიქტოროვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების დეპუტატი, მწერალი მლადენ ისაევი.

საბოლოო პლენარულ სხდომაზე, რომელიც საბჭოთა დელეგაციის მეთაურის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ე. პ. შატალოვის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის ხელმომწერი სახელმწიფოების პარლამენტრებისა და პარლამენტარებისადმი.

• • •

პარლამენტართა საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილეებმა პასუხი გასცეს ის მემორიალურ საჩივლელზე, ეს მემორიალური საჩივლელი ბატიკა სკეს ლენინგრადის გმირ დამცველთა ხსოვნას. დედა-სამშობლოს მონუმენტი მათ გვირგვინით შეამკეს.

საქმელი

მსოფლიოს ამბები

ვ. ბრანდტის პრესკონფერენცია

კელნი, 6 ივლისი. (საკუთარი). გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვ. ბრანდტი აქ პრესკონფერენციაზე გამოვიდა ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტების წინაშე. „ოქვი ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, განაცხადა მან, რომ ევროპის სახელმწიფოების ურთიერთობა საერთოდ გაუმჯობესდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შემდეგ.

განსაკუთრებით კარგი შესაძლებლობებია, თქვა მან, ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისათვის. სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად კლებულობს მათ შორის კონფლიქტების წარმომობის საშიშროება.

ვ. ბრანდტმა უარყო მტკიცება, თითქოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ურთიერთობა სოციალისტურ სახელმწიფოებთან შეზღუდულიყოს თავის განვითარებაში. არავითარი შეზღუდვა ამ ურთიერთობის განვითარებაში არ მომხდარა, თუმცა იგი შეიძლება ყოფილიყო უფრო სწრაფი, აღნიშნა ვ. ბრანდტმა. ამასთან დაკავშირებით მან დასახელა სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის დადებითი მომენტები. ამავე დროს, დასძინა მან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის პოლ

საქართველოს ამა-ხარში

მასწავლებლის დიდი აღიარება

საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისის სამუალო სკოლას მიენიჭა განათლების უანგარო მოღვაწის, გამოჩენილი პედაგოგის ესტატე ბესარიონის ძე შუშანიას სახელი. ამ სასიხარულო მოვლენის გამო სოფლის კლუბში შეიკრიბნენ მისი თანასოფლელები, ყოფილი მოსწავლეები და კოლეგები.

კრება გახსნა სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ბუკიამ. მოხსენება წაიკითხა ე. შუშანიას სახელობის საშუალო სკოლის დირექტორმა ი. ლიპარტიამ, დამსწრეთ მოგონებები გაუზიარეს ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ კ. ფილიპიამ, ესტატე შუშანიას ყოფილმა მოსწავლეებმა — მწერალმა და ჟურნალისტმა ნოე კობახიძე-დაფნარელმა, ინჟინერმა კ. ბუკიამ. სიტყვები წარმოთქვეს პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ს. ცხადაიამ, თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მე-3 კურსის სტუდენტმა გ. ბუკიამ, მოსწავლეებმა რ. ბუკიამ, ნოჯიხევის პროფსასწავლებლის ფრაადოსანმა მ. ბერიშვილმა, საკუთარი ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა ზ. გაბისონიამ და ესტატე შუშანიას შვილიშვილის შვილმა თინიკო ქვანიამ.

დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადუხადა ესტატე შუშანიას შვილმა პ. შუშანიამ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი სკოლის თვითმოქმედი მხატვრული ანსამბლის მონაწილეობით.

ვ. ქორთუა.

ავტომაგისტრალი ზუგდიდი — მესტია

მესტია, 5 ივლისი. (საქინფორმის კორ. კ. ამაღლობელი). ცადაზიდული სვანეთის რუკაზე კიდევ ერთი თანამედროვე ტრასა გაჩნდა. ახალმა ავტომაგისტრალმა ერთმანეთთან დაკავშირა ბარიტის საბადოთი ცნობილი სოფელი ხაიში და დაბა ჯვართან და კავკასიის მთების მისადგომებთან მდებარე რკინიგზის საბოლოო სადგურთან.

ეს 136-კილომეტრიანი გზის საექსპლოატაციოდ გადაცემული მხოლოდ ერთ-ერთი უბანია. ეს გზა ზუგდიდს აკავშირებს სვანეთის ცენტრთან — მესტიასთან. მისი მშენებლობა ორივე ხხრიდან მიმდინარეობს. მაღალმთიანი ავტოტრასის გაყვანის სამუშაოებს ასრულებენ „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტისა და რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს კოლექტივები. მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონის წარმომადგენლები.

ზუგდიდ-მესტიის გზა რესპუბლიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მშენებლობაა. იგი მთლიანად საექსპლოატაციოდ გადაეცემა დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის.

„ეზიერის“ ეროვნულ თეატრში

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხატვრულმა კოლექტივმა — „მზიურის“ ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა დიდი პოპულარობა მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში და მას ფარგლებს გარეთ.

ახლა ანსამბლში არიან უმცროსი კოლეგებიც — სულ 8-9 წლის ბავშვები. ანსამბლში არის 11 გოგონა და ერთი ექვსი წლის ხოლისტი გიორგი სიხარულიძე. და აი, „მზიურის“ მეორე თაობამ — თბილისელმა მოსწავლეებმა პირველი წარმატება მოიპოვეს ხაზ-ვარგარეთ. ისინი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტრადიციული ფესტივალის გამარჯვებულთა დიპლომებით დაჯილდოვეს. ეს ფესტივალი მოაწყო საკავშირო საწარმოო გაერთიანება „დემუზამ“. მიმდინარე წლის იანვარში მოსკოვში გამართულ სატელევიზიო-მუსიკალურ კონკურსში ნორჩ მუსიკოსთა ანსამბლი მედლებით დაჯილდოდა.

სურათზე: სამავშვო მუსიკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „მზიურის“ უმცროსი ჯგუფი.

ფ. პრემსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის“ ფოსტიდან

მკითხველის კალმით

□ **ჟუთაისი.** ნაყოფიერად მუშაობს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქართული ენის შემსწავლელი წრე. ამას წინათ სასახლეში ნორჩ ფოლკლორისტთა აქალაქო შეკრება გაიმართა. მოსწავლეები კითხულობდნენ ხალხურ ლექსებს, ქართულ ხალხურ საკრავებთან ერთად ასრულებდნენ სხვადასხვა სიმღერებს. აქვე მოეწყო წიგნების გამოფენა.

ლ. მახახაშვილი.

□ **საჩხერე.** „ჩვენი რაიონის ლენინის ორდენოსნები“ — ამ თემას მიეძღვნა შეხვედრა, რომელიც აკაკი წერეთლის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა. რაიონის ლენინის ორდენოსნების შესახებ შეკრების მონაწილეებს ესაუბრა ბიბლიოთეკის გამგე ე. გაბაძე. ლენინის ორდენოსნებმა — პენსიონერებმა ალ. კაციტაძემ და გ. ჭიღლაძემ თავიანთი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეს.

დასასრულ მათ საჩუქრად მხატვრული ლიტერატურა გადაეცათ.

ა. კაპანაძე.

□ **ცაგერი.** მახურაში ახლახან სასოფლო კლუბის ახალი შენობა წამოიმართა. კლუბის მშენებლობაში სოფლის ყველა მშრომელი მონაწილეობდა. თანასოფლელთა მადლობა დაიმსახურა დურგალთა ბრიგადამ, რომელსაც ბ. მამარდაშვილი ხელმძღვანელობდა.

ჩ. ჩაკვეტაძე.

□ **ტყიბული.** კურსებელმა კალმეურნეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. სოფლის ცენტრში აშენდა ახალი კეთილმოწყობილი სასაუზმე, რომელიც ბალნეოლოგიური კურორტის დამსვენებლებსაც მოემსახურება.

ი. შარაბიძე.

□ **გეგეჭკორი.** სოფელ ნაგებერაოს საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს „კომეურნეებს დახმარებოდნენ. მათ 15 გრამი მურიდან 60 კგ აბრეშუმის პარკი ჩაბარეს სახელმწიფოს. ამასთანავე ივალდებულეს მოკრიფონ 20 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

მ. კორსაკა.

სერგი წულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა ცნობილი ლიტერატორი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი **სერგი ვასილის ძე წულაძე.**

ქართველმა საზოგადოებრივობამ დაკარგა ბრწყინვალე მთარგმნელი, ჩინებული მეცნიერი, ჩვენი ქვეყნის ღირსეული პატრიოტი.

სერგი წულაძე დაიბადა 1917 წელს ქ. თბილისში. 1921 წლიდან მას საფრანგეთში მოუხდა ცხოვრება. 1938 წელს ს. წულაძემ დამთავრა სორბონის (პარიზი) უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტი ფილოლოგიისა და ფილოსოფიის ლიცენციატის ხარისხით. 1939 წელს ს. წულაძე შეედა პარიზის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. იმავე წელს იგი გაიწვიეს საფრანგეთის არმიაში. ფაშისტური ოკუპაციის პერიოდში ს. წულაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა წინააღმდეგობის არალეგალური ორგანიზაციების მუშაობაში. ამ პერიოდში იგი შევიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში და თანამშრომლობდა კომპარტიის გაზეთებში („ლე ჟენ პატრიოტ“ და „ლუმანიტე“). 1945 წლის დამდეგიდან ს. წულაძე საფრანგეთის არმიის რიგებში იბრძოდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ.

1947 წელს ს. წულაძემ დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და ორი წლის მანძილზე იყო უნივერსიტეტის ფსიქიატრიული კლინიკის პათოფსიქოლოგიური ცენტრის ასისტენტი. 1951 წელს მას მიენიჭა პარიზის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის ხარისხი. იგი 1958 წლამდე მუშაობდა უნივერსიტეტის ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც წარმატებით დაეუფლა კლინიკურ ფსიქიატრიას, პათოფსიქოლოგიასა და ნეიროფიზიოლოგიას.

1958 წელს სერგი წულაძე ოჯახთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. 1963 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამედიცინო ფსიქოლოგიის განყოფილებას.

ს. წულაძის გამოკვლევებმა პათოფსიქოლოგიისა და ფსიქოთერაპიის დარგში ფართო აღიარება მოიპოვა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში.

მის კალამს ეკუთვნის 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, იგი მონაწილეობდა მრავალ საკავშირო თუ საერთაშორისო სამეცნიერო სესიის, სიმპოზიუმისა და ყრილობის მუშაობაში და სამართლიანად დაიმკვიდრა სამედიცინო ფსიქოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის სახელი.

გარდასულ ოცეულ წლებში დიდია ს. წულაძის დამსახურება ქართველი ერის, ქართველ ინტელიგენციის, საქართველოში ჩამოსულებთან ერთად შეიტანა ქართული ეროვნული საუნჯის — „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე თარგმნას, რომელიც დასრულა 1964 წელს. თარგმანმა ფრანგული სალიტერატურო კრიტიკის მაღალი შეფასება დაიმსახურა. 1965 წელს საფრანგეთის აკადემიამ უცხო ენიდან ფრანგულ ენაზე შესრულებული საუკეთესო თარგმანისათვის ს. წულაძე ლანგლუას სახელობის პრემიით დაჯილდოვა.

1968 წელს საფრანგეთში გამოიცა ნ. ბარათაშვილის ლექსების წიგნი ქართულ და ფრანგულ ენებზე, რომლის შემდგენელი და ერუდიული წინასიტყვაობის ავტორი ს. წულაძე იყო. მას ეკუთვნის ამ წიგნში შესული რამდენიმე ლექსის, მათ შორის „ბერანის“ თარგმანი.

შოთა რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო დღეებში თბილისში გამოიცა ს. წულაძის წიგნი „რუსთაველის გაცნობა“ ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

სულ ახლახან ს. წულაძემ დასრულა მრავალი წლის ნაშრომი — „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ ფრანგულ ენაზე, რომელშიც შესულია ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები უძველესი დროიდან დღემდე.

ს. წულაძე წლების მანძილზე იწერდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, რესპუბლიკის ნეიროპათოლოგთა, ფსიქიატრთა და ფსიქოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებების გამგეობის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ს. წულაძე აქტიურად თანამშრომლობდა უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან, იყო საფრანგეთთან მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

დიდია ს. წულაძის ღვაწლი ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში. იგი წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს სამედიცინო ფსიქოლოგიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

1976 წელს ს. წულაძე დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

მოულოდნელი იყო მისი სიკვდილი. მრავალი შემოქმედებითი გეგმა დარჩა შეუსრულებელი, მაგრამ რისი გაკეთებაც მოასწრო, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მისი ნათელი ხსოვნა, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მამულიშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩეს ქართველი ხალხის გულში.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა რესპუბლიკური საზოგადოება; საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოება; საქართველოს საზღვარგარეთის კავშირებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოება; საქართველოს სსრ ჯანრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

ბოგზაურის შთაბეჭდილებები

იაპონია და

იაპონელები

— **რამდენი** რამ წაგვიკითხავს და გვსმენია იაპონიაზე. მაგრამ სულ სხვაა, საკუთარი თვალით რომ ნახავთ ამ მეტად საინტერესო ქვეყანას, გაეცნობით მის საოცრად შრომისმოყვარე ხალხს, — ასე დაიწყო თავისი საუბარი იაპონიაში მოგზაურობის შესახებ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგემ, მეცნიერებას დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა **სერგო კობალაძემ:**

ჩვენი სპეციალიზებული ტურისტული ჯგუფი, — გვითხრა მან, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებათა კავშირის მიერ იყო დაკომპლექტებული, ორ კვირას იმყოფებოდა იაპონიაში. მოგზაურობის ძირითადი მიზანი ის იყო, რომ გავცნობოდით იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოებულ და უფასოა, ცხრა კლასის შემდეგ კი — ფასიანი. სულ საშუალო სასწავლებელში სწავლება თორმეტწლიანია. უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელთან ერთად არის კერძოც. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში სწავლისათვის ყოველწლიურად 100 ათას იენზე მეტია გადასახადი, პუმანიტარულზე — 300.000 იენი, ტექნიკურ სასწავლებელში — ერთი მილიონიდან ორნახევარ-სამ მილიონამდე. უმაღლეს სასწავლებელში სწავლება ოთხწლიანია, მხოლოდ სამედიცინო ინსტიტუტშია 'ეუთწლიანი, ყველა სტუდენტი, იმისათვის, რომ სწავლის ქირა მოაგროვოს, რაც ასე დიდია, მუშაობს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ იაპონის მოსახლეობის მხოლოდ ოცი პროცენტია სოფლის მეურნეობა დასაქმებული. მიწა ძალიან ძვირად ფასობს. მისი ღირებულება ყოველწლიურად ფანტასტიკურად იზრდება. იაპონელები ცდილობენ ზღვას გამოსტაცონ ტერიტორია და სამრეწველო ობიექტების მშენებლობისათვის გამოიყენონ. ამას ახერხებენ კიდეც. მაგალითად, ხიროსიმასა და იოკომასთან ჩვენ ვნახეთ უზარმაზარი რაიონები, რომლებიც ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში ამოშრეს.

ზოგი რამ იაპონიის ქალაქებზე. იაპონიის მსხვილი სავაჭრო და სამრეწველო ცენტრი ოსაკა ხიდების ქალაქს მოგაგონებთ, აქ 1500-მდე ხიდია, რომლებიც აგებულია მდინარეებზე, მის შიგნაკადებსა და არხებზე. ქალაქი ძალზე ლამაზია. განსაკუთრებით მოგხიბლავთ მისი არქიტექტურა. ახალი ნაგებობები ისე ორიგინალურად არწყმის ძველს, რომ თითქოს მათი გაგრძელება იყოს.

ქ. კიოტოში ცოტაა თანამედროვე შენობები. ამ ქალაქს შედარებით უკეთ იცავენ გაქუქყიანებისაგან.

კიოტო წარსულში იაპონიის სატახტო ქალაქი ყოფილა. ამიტომაც გამორჩეული იგი თავისი უძველესი ნაგებობებითა და ლამაზად გამწვანებული ფართო ქუჩებით. კიოტოს პრეფექტურის ტერიტორიაზე 2000-მდე ტაძარია აღრიცხული, მაგრამ ამ ქალაქში თანამედროვე ტექნიკის მიღწევებიც იგრძნობა. კიოტოში პირველად აწყობენ სატელეფონო ქაბელებს. ეგრეთწოდებულ ინტეგრალურ აპარატურაზე, რომელიც გამომთველელ მანქანებს უერთდება. სატელეფონო კავშირი ისეა მოწყობილი, რომ ადამიანი, სპეციალური კოდის მიხედვით დაიჭერს ღილაკს და იაპონიის ტერიტორიაზე სასურველ ქალაქში, სასურველ პიროვნებასთან ილაპარაკებს.

სამედიცინო მომსახურება ძალიან ძვირია. მაგალითად, ბრძანწყლავის ოპერაცია 200.000 იენი ღირს, ნორმალური შობიარობა — 100.000 იენი, პათოლოგიური — ორჯერ მეტი. ოსაკაში საშუალება მოგვეცა დაგვეთვალიერებინა სამედიცინო ცენტრი. იაპონელმა კოლეგებმა გვითხრეს ავთვისებიანი სიმსივნეების, კერძოდ, კიბის ადრეული დიაგნოსტიკის და პროფილაქტიკის საკითხებზე ვმუშაობთო, მაგრამ არსებითი ვერაფერი წარმოგვიდგინეს.

ზეხვედრები. საბჭოთა სტუმრებს მეტად გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების ოსაკას განყოფილებაში, რომელიც 10.000-ზე მეტ წევრს აერთიანებს. ოსაკაში საზოგადოებას სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი ბატონი ივატა ხელმძღვანელობს. მან შეხვედრაზე გაიხსენა საბჭოთა კავშირი, კერძოდ, საქართველოში მოგზაურობა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ჩოფიკაშვილმა.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ხიროსიმას ნახვამ. ყველამ იცის ამ ქალაქში 1945 წლის 6 აგვისტოს, 8 საათსა და 45 წუთზე ატომური ბომბის აფეთქებისა და იქ დატრიალებული ტრაგედიის შესახებ.

ხიროსიმაშიც საინტერესო შეხვედრა მოგვიწყო იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების განყოფილებამ. იქაურმა მეგობრებმა გვითხრეს, ნაკლებად გვაქვს საბჭოთა კავშირის შესახებ ლიტერატურაო.

ტოკიოსთან ახლოს მდებარე ქ. ურავაში დავთვალიერეთ ფარმაკოქიმიური ქარხანა. იაპონელ ექიმებთან და ფარმაკოლოგებთან შეხვედრისას მომიხდა მოხსენებების გამოსვლა, სადაც აღვნიშნე როგორც იაპონური პრეპარატების, ისე მათთვის საინტერესო პრეპარატ ნონახლაზინის კლინიკური ეფექტურობა.

ჩვენი მეგობარი რიოჰეი კომიაია. ტოკიოში, იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოებაში, შევხვდი ცნობილ იაპონელ გამომცემელს, ჩვენი ქვეყნის დიდ მეგობარს რიოჰეი კომიამას და მის ვაჟს სუმეი კომიამას, რომელიც საზოგადოების აქტიური წევრია. რიოჰეი კომიამა უკვე რამდენიმე წელია მეგობრობს ჩვენს სახელოვან მხატვართან — ლადო გუდიაშვილთან. მან დიდი სიყვარულით გაიხსენა საქართველოში მოგზაურობა, ლადო გუდიაშვილის სახელოსნოში სტუმრობა. იაპონელმა მეგობარმა გვაჩვენა, თუ რა ბიბლიოგრაფიულ აზვიადოობად იქცა მის მიერ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოცემული ქართული კულტურის დიდი მეგობრის იპეი ფუკაურის მიერ თარგმნილი შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ასევე დიდი წარმატება ხვდა მის მიერ გამოცემულ „ქართულ ხალხურ ზღაპრებს“, ალბომს — „ლადო გუდიაშვილის გრაფიკა“. კომიამას განზრახული აქვს ალბომის სახით გამოსცეს ლადო გუდიაშვილის ფერწერა. იაპონელი გამომცემელი დაინტერესდა ფიროსმანით, რომლის შესახებაც ზოგიერთი ცნობა მივაწოდეთ. მას გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს აგრეთვე ზურაბ წერეთლის ნამუშევრების ალბომი.

არ დავივიწყოდეს ის გრანდიოზული შეხვედრა, რომელიც მოგვიწყეს ტოკიოში იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოებაში.

საუბარი ჩაიწერა

ლ. ხუგულურმა.

• • •

სურათზე: პროფესორი ს. კობალაძე იაპონელ ბავშვებთან.

ცურვა

ევროპის რეკორდით

დნეპროპეტროვსკის საცურაო კომპლექსის ტრიბუნებზე არ ცხრებოდა ტაში — თითქის ყველა ფინალური გაცურვა რეკორდით მთავრდებოდა. ასპარეზობათა მიწურულს 800-მეტრიან სტაიერულ დისტანციაზე მოსკოველმა ვალენტინ პარინოვმა თავისუფალი სტილში თითქმის ორი წამით გაუუმჯობესა ევროპის რეკორდი — 8 წუთი და 11,82 წამი. ძველი მიღწევა ასევე საბჭოთა სპორტსმენს ვლადიმერ სალნიკოვს ეკუთვნოდა (8, 13, 35). ეს „შესწორება“ 18 წლის პარინოვმა შეიტანა 1.500 მეტრზე ფინალური გაცურკის დროს, რომელიც მოიგო — 15. 27, 5. ეს უკვე მისი მესამე ოქროს медалია. თავისუფალი სტილით 800 მეტრზე ცურვაში ქალთა შორის საკავშირო რეკორდით გაიმარჯვა ხარკოველმა ნატალია პოპოვამ — 9.00,98.

კვლავ გამოიჩინა თავი მოსკოველმა ოლგა კლეგაკინამ — მან ამ ასპარეზობაში მეოთხე ოქროს медალი მოიპოვა, ამჯერად 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2. 20, 30, რაც აგრეთვე ახალი საკავშირო რეკორდია.

ფეხბურთი

ლიდერთა ჯგუფში ცვლილებებია

დასასრულს უახლოვდება „ა“ კლასის პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. მორიგმა, მე-18 ტურმა ცვლილებები მოახდინა ლიდერთა ჯგუფში. თუმცა ეს პირველმორე აღგილებზე მყოფ გუნდებს — მინსკის „დინამოსა“ და „ტაშკენტის „პახტაკორს“ არ შეხებიათ. მინსკელებმა კვლავ გაიმარჯვეს შინ, ამჯერად სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ — 1:0, ხოლო ტაშკენტელებმა სტუმრები — აშხაბადის „კოლხოზჩი“ დაამარცხეს 3:1. „ნისტრუსა“ და „ტავრიას“ ადგილები ცხრილის მესამე და მეოთხე სტრიქონებზე დაიკავეს კემეროვოს „კუზბასმა“ (მოუგო ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ — 2:0) და მოსკოვის „სპარტაკმა“ (დამარცხა ორჯონიკიძელი თანაკლუბელები — 3:0). მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა სვერდლოვსკის „ურალმაშმა“ (სძლია კრივოი როგის „კრივბასს“ — 2:1). კიშინიოვის „ნისტრუ“, რომელიც პერმში დამარცხდა „ზვეზდასთან“ — 0:2 (ეს „ზვეზდას“ პირველი გამარჯვებაა ამ სეზონში), მეექვსეა, ხოლო „ტავრია“ — მეშვიდე.

ქუთაისის „ტორპედო“ დუშანბეში თამაშობდა „პამირთან“ და წააგო 1:3. ახლა ავტოქარხნელებს 17 ქულით მეათე ადგილი უჭირავთ.



ლენინგრადის საერთაშორისო

ხუთი ყაიმი ერთ ტურში

ლენინგრადის შეჯიბრების უპირველესი თავისებურება ის გახლავთ, რომ დაწინაურებული მონაწილეები ვერა და ვერ ახერხებენ თვალსაჩინო მანძილით „მოწყდნენ“ მდევრებს. ამიტომ ტურნირს ჯერჯერობით არც ამჯარად გამოხატული ლიდერება ჰყავს და არც უიმედოდ ჩამორჩენილი მონაწილეები. ეს მეტად დიდ დაძაბულობას ქმნის და მომდევნო ტურები ფრად საინტერესო თამაშს გვპირდება. საპრიზო ადგილებს ჯერჯერობით ბევრი პრეტენდენტი ჰყავს.

„ჩემი დაკვირვებით, კნეტევიჩი თეორიებით საკმაოდ იოლად აღწევს ყაიმს, მეტს კი არ ცდილობს, ამიტომ ბევრი ვიფიქრე, რა დებიუტი სათვის მიმემართა მის წინააღმდეგ“, — უთხრა მსოფლიოს ჩემპიონმა კარპოვმა ტალს. კარპოვმა საბოლოოდ ლაზიერის გამბიტი აირჩია, მაგრამ კნეტევიჩი ჩვეული მანერით თამაშობდა და ამჯერადაც მიაღწია მიზანს — ყაიმს. ამასობაში რომანიშინი, რომელიც ახლა პირველ ადგილზეა, შავებით შეუპოვრად ცდილობდა მოეგო გეორგიუსთან. რუმინელი დიდოსტატი ერთხანს კარგად იცავდა რამდენადმე უარეს პოზიციას, ძაგრამ წამოეპარა უძლიერესი ცაატნოტი. 39-ე სვლაზე გეორგიუს საათზე ალამი ჩამოვარდა და წაგება ჩაეთვალა. მარიოტი, რომელიც უკანასკნელ ადგილზეა, მებრძოლის ჩინებული თვისებებს აჩვენებს. შეუპოვრად ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას. მეცხრე ტურში მან ზუსტად წარმართა ენდშპილი და პირველი გაბარჯვება მოიპოვა ბელიავსკისთან. ტალ-კაპანინის პარტია არ გამართულა, რადგან ახალგაზრდა დიდოსტატი შეუძლოდ იყო. ბალაშოვ-სმეიკალი, სმისლოვ-კორჩეევი, გარსია-ტალი მანონი, რიბლი-კუზმინი და რადულოვ-ფოგთი ყაიმზე შეთანხმდნენ.

9 ტურის შემდეგ 6 ქულითა და ერთი, წასაგებ პოზიციაში გადაღებული პარტიით პირველ ადგილზეა რომანიშინი.

გ. გამრეკელი.

ჭადრაკი

პრეტენდენტთა მატჩები

დორტმუნდში (გფრ) დამთავრდა ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა უკანასკნელი მეოთხედფინალური მატჩი. მეცხრე პარტია ლევინოლნამ წაგო და საერთო ანგარიში გახდა 6:3 კუშნირის სასარგებლოდ. ის ახლა ნახევარფინალში შეხვდება ფატალიევას.

ევიანში მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების პოლუგაევსკი-კორჩნოის ნახევარფინალური მატჩის მესამე პარტია გადაიდო.

უძლიერესთა შორის

მოსკოვში მიმდინარეობს საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ ასპარეზობათა პროგრამით გათვალისწინებული დიდი საჭადრაკო გუნდური ტურნირი.

ბალტიისპირეთში სათანადო მზადების შემდეგ საქართველოს ნაკრები მოსკოვს ესტუმრა. მის შემადგენლობაში გამოდიან საქართველოს ჩემპიონი ოსტატი ზ. სტრუა, ოსტატობის კანდიდატები ს. ლუტიანი, ზ. ახვაფარაშვილი, ი. ეფიმოვი (ბაბუკები), მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი, საერთაშორისო ოსტატი მაია ჩიბურდანიძე, ოსტატი ნანა იოსელიანი.

პირველ ეტაპზე მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ოთხ შესარჩევ ჯგუფად. საქართველოს ნაკრები მოხვდა პირველ ჯგუფში, სადაც აგრეთვე თამაშობდნენ უზბეკეთის, სომხეთისა და ტაჯიკეთის გუნდები. ქართველმა მოჭადრაკეებმა ამ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და დღეს იწყებენ ბრძოლას „ა“ ნახევარფინალურ ჯგუფში.

მოკლედ

მძლეოსნობა. საბჭოთა სპორტსმენების ალექსანდრე გრიგორიევისა და მსოფლიოს ახალი რეკორდსმენის ვლადიმერ იაშჩენკოს (233 სმ) კვალად 230 სანტიმეტრზე გადებული თამასა გადალახა როლფ ბალეშმიდტმა (გფრ). ახალი ეროვნული რეკორდი 23 წლის სპორტსმენმა დაამყარა დასავლეთ გერმანიის ქალაქ კობლენცში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე.

ამერიკელი ეჭს-რეკორდსმენისათვის — დეიანტ სთოუზნისათვის სრულიად მოულოდნელი იყო ცნობა ახალი რეკორდის შესახებ. მაგრამ 22 წლის სპორტსმენი არ აპირებს ფარ-ხმალის დაყრას, პირიქით, მან სტოკჰოლმში ჟურნალისტებს განუცხადა, უახლოეს დროში შეეედები რეკორდი დავიბრუნოო. თავისი ნათქვამის დამტკიცებას იგი შაშინვე შეეცადა და 228 სმ დაძლია, მაგრამ ცივ, წვიმიან ამინდში ამაოდ უტევდა 231 სანტიმეტრს...

ფეხბურთი. საქართველოს პირველობის (პირველი ჯგუფი) მორიგ ტურში გათამაშების ლიდერს გალის „მზიურს“ არ უთამაშია, მაგრამ 30 ქულით (19 თამაშიდან) კვლავ შეინარჩუნა პირველი ადგილი. ამდენივე ქულა დააგროვა საჩხერის „იბერიამ“ (1:0 მოუგო თელავის „ნადიკვარს“), მაგრამ მის აქტივში 21 თამაშია. ცხინვალის „სპარტაკმა“ 3:1 დაამარცხა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და დაიჭირა მესამე სტრიქონი გათამაშების ცხრილში. აუტსაიდერთა ჯგუფში ცვლილება არ მომხდარა. ესენი არიან თბილისელი არმიელები (11 ქულა), გორის რაიონის „ქართლი“ (12 ქულა) და წულუკიძის „იმერეთი“ — 13 ქულა.

ტენისში იუნიორთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში უკვე ცნობილია ერთი ფინალისტი. ეს არის მექსიკის ნაკრები, რომელიც ბრაზილიის გუნდს ხვდებოდა. თამაშის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. თერმომეტრიანები უფრო ზუსტად დაარტყეს მექსიკელებმა.

ტელევიზია

8 ივლისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — ღილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — დოკუმენტური ფილმი „მიხეილ ცარიოვი“, 11.45 — მხატვრული ფილმი „ბარდასულ ღღეთა საქმენი“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სერიოზული საქმე“, 18.05 — განცხადებები, 18.10 — ბავშვებისათვის კონცერტი (ფერადი. გაგმეორებით), 18.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გური ქრილოვი“ (ქართულ ენაზე), 18.50 — კინონარკვევი, 19.10 — „განვიხილავთ სსრ კავშირის კინსტატუციის პროექტს“, 19.30 — „ვერნისაჟი“ — რუბენსი, 20.00 — „მომბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — კონცერტი „ახალგაზრდების ხელოვნება“, 21.00 — „ჩვენი ბიოგრაფია“, — „1954 წ.“ (ფერადი. მოსკოვიდან), 22.00 — „ერემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „სპორტული კალეიდოსკოპი“ (ფერადი), 23.35 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.00 — მხატვრული ფილმი „ცისფერი გველის მხილება“ (ფერადი), 19.15 — კინონარკვევი, 19.30 — განცხადებები, 19.35 — კონცერტი, 20.05 — დოკუმენტური ფილმი „დიადი მამხილებელი“,

თელეცენტრი

8 ივლისი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეზოში აპი ძალლია!; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩარლის დეიდა; ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — კაცის ტვირთი.

**ინფორმაციის მუშაკების მაღალკვალიფიკაციური კადრების მომზადების მიზნით, სსრ